# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 4-5 მაისი. 2019 წ. №88 (8754) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი






## სკანდალი

# „ოქროებს“ მიღმა ოჯახური კლანია?!

9

## პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ ჟურნალისტებს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე მიულოცა.

**„დღეს მთელი დემოკრატიული სამყარო პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.**

**პრესის თავისუფლება განვითარებული მსოფლიოს უდიდესი მონაპოვარია და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ქვაკუთხედია.**

**ვულოცავ ქართველ ჟურნალისტებს პრესის თავისუფლების დღეს და წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ მათგანს!“**

**მაყვალა გონაშვილი:**

## საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი!..



**ზაალ ბოტკოველი:**

## მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შვილი

6-7

## ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება!

### მიმართვა



საქართველოს ყველა მოქალაქეს, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ჩვენს სახელოვან ომისა და შრომის ვეტერანებს, ახალგაზრდობას, რომლებიც აქტიურად მეხმაურებიან ფეისბუქზე, ბეჭდვურ თუ ელექტრონულ მედიაში, მივმართავ კომუნისტური პარტიის ნამდვილ წევრებს და იმათ, ვინც ნანობს პარტიული ბილეთისა და მისი აქტიური ცხოვრების ნაწილის სანაგვეზე გადაგდებას; მივმართავ ჩემს ძვირფას სტალინელებს: **2019 წლის 6 მაისს, 15:00 საათზე,** რუსთაველის აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში გიწვევთ შეხვედრაზე, სადაც ბევრ ახალ ამბავს და ბევრ უცნობ დოკუმენტურ კინოკადრს ნახავთ სტალინზე, მის ძველ თუ ახალ ცხოვრებაზე.

მოვუწოდებ მედიას (ოპოზიციურს თუ პოზიციურს), მობრძანდეს თეატრში და თვალყური მიადევნოს იმ კონტრასტებს, რომელთა არათუ კონტურებს იხილავს, ფაქტის წინაშეც კი დადგება საზოგადოება.

საუბარი იქნება იმაზედაც, თუ „პეტრე პირველის ევროპისკენ გაღებული ფანჯარა როგორ მიხურა თავის დროზე გენიოსმა მწერალმა დოსტოევსკიმ“.

მოდით, ერთად ვიზეიმოთ ფაშიზმზე გამარჯვება და ერთად დავგმოთ მისი აღორძინება!

**გრიგოლ ონიანი**

## ზელენსკი პუტინს უპასუხებს: რუსეთსა და უკრაინას საერთო მხოლოდ ერთი რამ დარჩათ – საზღვარი!



უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რუსეთის ლიდერს ხისტად უპასუხა და განაცხადა, რომ „უკრაინას რუსეთთან საერთო მხოლოდ ერთი რამ აქვს – სახელმწიფო საზღვარი“.

**„ბევრი ვიფიქრე, კერძოდ, „ბევრ საერთოზე“ უკრაინასა და რუსეთს შორის. რეალობა ასეთია: დღეს, ყირიმის ანექსიისა და დონბასზე მიმდინარე აგრესიის შემდეგ „საერთოდან“ მხოლოდ ერთი დაგვრჩა – სახელმწიფო საზღვარი. „საერთოა“ 2 295 კილომეტრი და 400 მეტრი. რუსეთმა უნდა დააბრუნოს უკრაინის ტერიტორიის თითოეული მილიმეტრი. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ „საერთოს“ ძიებას... ნავთობის ექსპორტის აკრძალვა, ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებლებისთვის რუსული პასპორტების გადასაცემად პუნქტების გახსნა და უკრაინელების ტყვეობაში დატოვება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებას ხელს არ უწყობს. ასეთი ურთიერთობებისთვის „ძმურის“ წოდებაც რთულია“,** – წერს ზელენსკი Facebook-ში ოფიციალურ გვერდზე.

რამდენიმე დღით ადრე ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ „მზადაა, უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭოს რუსეთის მცხოვრებლებსა და ყველას, ვინც მზადაა, თავისუფლებისთვის იბრძოლოს“.



რუსეთის ლიდერმა ერთგვარი გაკვირვება გამოთქვა ზელენსკის სიტყვების გამო, თუმცა იდეა მოუწონა:

**„მართლა ასე თქვა „ზელენსკიმ“? ძალიან კარგი, ესე იგი, საერთო ბევრი გვაქვს და მოვილაპარაკებთ. რუსეთისა და უკრაინის ხალხები მხოლოდ მოიგებენ, თუ მათ ერთიანი მოქალაქეობა ექნებათ. ყოველთვის ამბობდნენ, „რუსები და უკრაინელები ძმები არიანო“,** – განაცხადა რუსეთის ლიდერმა.

## რუსები „ჯალათი“ სტალინის რეაბილიტაციას აპირებენ!

8

# პრემიერ-მინისტრის მადლობა ევროპის საბჭოს



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტს საკითხზე - „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში" მიღებული გადაწყვეტილებისთვის მადლობას უხდის.**

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი ევროპის საბჭოსგან როგორც საქართველოსთვის, ისე მთელი მსოფლიოსა და რუსეთის ფედერაციისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციას არასოდეს შეეგუება.

**„დოკუმენტში ძალიან მნიშვნელოვანი აქცენტები კეთდება იმაზე, რომ რუსეთი განაგრძობს თავის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში. ეს გულისხმობს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას. ხაზგასმულია, რომ ეს არის კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ სამწუხაროდ, ხშირად გვესმის აგრესიული ძალების პროპაგანდა, რომ ეს არ არის კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის. დიახ, რუსეთი განაგრძობს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას. დოკუმენტში ხაზგასმულია ის უმძიმესი ჰუმანიტარული კატასტროფა, რაც გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სამშვიდობო ინიციატივის — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" მხარდაჭერის ტექსტი. აუცილებელია, რომ დროულად დავიწყოთ ამ სამშვიდობო ინიციატივის რეალიზაცია, რათა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს ელემენტარული პირობები შევუქმნათ და როგორმე შევაჩეროთ ეს ჰუმანიტარული კატასტროფა".**

# სამთავრობო ცვლილებების საკითხი არ განიხილება!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სამთავრობო ცვლილებების საკითხის განხილვას არ ადასტურებს.** როგორც მთავრობის მეთაურმა ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა, ამ ეტაპზე მსგავსი არაფერი იგეგმება, თუმცა რეფორმების განხორციელების პროცესში ტემპს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**„2019-2020 წლებში ჩვენ გამოყოფილი გვაქვს საბიუჯეტო რესურსი, რათა მივაღწიოთ ყველა მიზანს, რომელსაც საზოგადოებას დავპირდით. ბუნებრივია, ამ მიზნების მიღწევა საკმაოდ რთული პროცესია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ყველა უწყება, ყველა სამინისტრო განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდეს. შესაბამისად, სიჩქარესა და ტემპებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, თუ რომელიმე უწყებაში იქნება რეალური საფუძველი იმისა, რომ ვიღაც ვერ აკმაყოფილებს ამ ტემპს, იმ მიზნებისა და ორიენტირების მიღწევას, რომელიც გაწერილია ბიუჯეტში როგორც 2019, ასევე 2020 წელს, ჩვენ ვართ ერთი გუნდი და მივიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რაც უნდა მივიღოთ,** — განაცხადა პრემიერმა.

# ვახტანგ გომელაურის ანგარიში პარლამენტში დახურულ ფორმატში მოისმინეს

**ოპოზიციამ სხდომის ღიაობა მოითხოვა, მაგრამ... ამაოდ.** ანგარიშის ღია, საჯარო ნაწილზე საუბრისას, მომხსენებელმა ყველას გასაგონად ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, ტერორიზმის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, კონტრდაზვერვით საქმიანობასა და უწყებათაშორის და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებებზე მოხსენება წარმოადგინა.



**„2018 წელს საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენდა რუსული ოკუპაცია, სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები და დაპირისპირებების ახალი კერების წარმოქმნა.საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს გაუარესებას ხელს უწყობენ არადემოკრატიული რეჟიმები, მათ მიერ მართული ინტერესთა ჯგუფები და ტერორისტული ორგანიზაციები. საქართველოში არსებული უსაფრთხოების ვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, რეგიონული უსაფრთხოების ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია",** — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

სამსახურის უფროსი ანგარიშის წარდგენისას კონტრდაზვერვითი საქმიანობის ანალიზსაც შეეხო და „ჰიბრიდული ომის" ინსტრუმენტებზე, დეზინფორმაციული კამპანიების წარმოებასა და ყალბი ახალი ამბების გავრცელებაზე ისაუბრა.

**„გასულ წელს გამოიკვეთა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების გარკვეული ქმედებები საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის მიმართულებით. უცხო ქვეყნებზე ორიენტირებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების გამოყენებით მიმდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოების, ხელისუფლებასა და პოლიტიკურ სპექტრს შორის ნდობისა და ურთიერთთანამშრომლობის შემცირების პროცესის ხელშეწყობა. 2018 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 21 საქმეზე. პასუხისგებაში კი მიცემულია 48 პირი",** — აღნიშნა სამსახურის ხელმძღვანელმა.

## ივანე მაჭავარიანი:

# საქართველოს აქვს ყველა შესაძლებლობა, მაღალ დონეზე უმასპინძლოს აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრას

**აღნიშნული წინადადება ივანე მაჭავარიანმა ADB-ს პრეზიდენტთან ტაკეჰიკო ნაკაოსთან და ბანკის დირექტორებთან აზიის განვითარების ბანკის 52-ე წლიური შეხვედრის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებებისას დააყენა და აღნიშნა, რომ საქართველოს უკვე გაკეთებული აქვს ოფიციალური განაცხადი.**

როგორც ივანე მაჭავარიანმა აღნიშნა, თბილისში მსგავსი მასშტაბის ღონისძიების ჩატარება, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, საქართველომ კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და განხორციელებული რეფორმები, მით უფრო, რომ ქვეყანამ 2015 წლის მაისში, წარმატებით უმასპინძლა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნესფორუმს.



ფინანსთა მინისტრმა ADB-ს ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა იმ მტკიცე მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რომელსაც აზიის განვითარების ბანკი უწევს საქართველოს რეფორმების განხორციელების პროცესში, ასევე, ქვეყნის ძირითადი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. შეხვედრაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრმა და ბანკის დირექტორებმა ყურადღება გაამახვილეს 2019-2021 წლების თანამშრომლობის საკითხებზე, ხაზი გაესვა განათლების სფეროს, მათ შორის, პროფესიული განათლების რეფორმისა და ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში ADB-ს ჩართულობის მნიშვნელობას.

აზიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან დადებითად შეფასდა ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები. აღინიშნა ის მზარდი პოტენციალი, რომელიც საქართველოს აქვს ტურისტული სექტორის განვითარების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ADB-ს წლიური შეხვედრის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის (CAREC) მაღალი დონის შეხვედრაში, რომელიც სწორედ ტურიზმის სფეროს განვითარების საკითხებს მიეძღვნა. საქართველო აზიის განვითარების ბანკის წევრია 2007 წლიდან. ამჟამად, ADB-ს მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა, დაახლოებით, 2.8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

# სექსუალური შევიწროება დასჯადი ხდება

**პარლამენტმა სექსუალური შევიწროების შესახებ ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო. კანონპროექტი მოამზადა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, რომლის მიხედვით, სექსუალური შევიწროების თემაზე ცვლილებები შევიდა ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსში, შრომის კოდექსში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და სახალხო დამცველის შესახებ კანონში. კანონპროექტი პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მოამზადა.**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განმარტავს „სექსუალურიშევიწროებას" — საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

კანონით განისაზღვრა ჯარიმების ოდენობაც -სექსუალური შევიწროება გამოიწვევს დაჯარიმებას 300ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით.

**ასევე, იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდასწრებით — გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე ოდენობით. ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ან ორი ან მეტი პირის მიერ 800-დან 1000 ლარამდე ოდენობით, ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 10 დღემდე ვადით.**

შენიშვნის სახით განმარტებულია სექსუალური ხასიათის ქცევა: კოდექსის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევაში იგულისხმება სექსუალური ხასიათის ფრაზების გამოთქმა ან/და მიმართვა, გენიტალური ორგანოების ჩვენება, ნებისმიერი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ფიზიკური ქცევა.

სექსულურ შევიწროებასთან დაკავშირებით მიღებული ცვლილება ეხება შრომის კოდექსის მეორე მუხლს, რომლის მიხედვითაც, მეორე მუხლის მე-4 პუნქტში შევიდა ცვლილება.

**დისკრიმინაციად (მათ შორის, სექსუალურ შევიწროებად) მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირშევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.**

**ამავე მუხლს დაემატა 4 პრიმა პუნქტი. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, საქართველოს შრომის კოდექსს დაემატება სექსუალური შევიწროების განმარტება, რომელიც მოიცავს პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.**



# ...არა წინასწარი დათმობებით!

## ოფიციალური ბაქო სახელმწიფო საზღვრის საკითხზე პრეზიდენტ ზურაბიშვილის განცხადებას გამოეხმაურა

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ორი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის საკითხზე გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება.

**„ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელზეც აპელირებენ, 1938 წლის სქემატური ხასიათის რუკაა მასშტაბით 1:500 000. ეს რუკა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა მიიღეს. 1942 წელს სსრკ-მა მიიღო გადაწყვეტილება უფრო მკაფიო რუკის შესახებ მასშტაბით 1 : 100 000. გარდა ამისა, არსებობს რუკა, რომელიც 1963 წელს საბჭოთა საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა. სამუშაო ჯგუფის დონეზე დელიმიტაციის საკითხის განხილვისას ამ რუკას ეყრდნობიან და დღემდე ამ მხრივ პრობლემები არ შექმნილა“,** — განაცხადა გუშინ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა **ლეილა აბდულაევამ.**



ამასთან, მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ „აზერბაიჯანი საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის უსწრაფესი დელიმიტაციის მომხრეა, იმედოვნებს, რომ ეს პროცესი უახლოეს ხანებში დასრულდება და თავისი მხრიდან ამისთვის მზადაა“.

**„ზოგადად, ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხი ორმხრივ ფორმატში, ურთიერთკოორდინაციით, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე წყდება. ტარდება სახელმწიფო კომისიის სხდომები. დღემდე ჩატარებულია 11 მსგავსი სხდომა. მთლიანობაში, სახელმწიფო საზღვრის 480კმ-დან სახელმწიფო კომისიის ფარგლებში 314-ია შეთანხმებული, 166 კმ კი ექსპერტების დონეზე შესწავლის პროცესშია“,** — დასძინა აბდულაევამ.

ცნობისთვის: საქართველოს პრეზიდენტმა „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრისა და საზღვარზე მდებარე სამონასტრო კომპლექს დავით-გარეჯის საკითხზეც ისაუბრა:

**„ (...) ის, რაც მოხდა დავით-გარეჯში, ჯერ ერთი, ეს არ არის უჩვეულო. არა ყოველ აღდგომას, მაგრამ რამდენჯერმე უკვე მომხდარა. ეს არ არის სწორი, რომ უცებ რაღაც ახალი მოხდა. (...) მე რომ ვიყავი აზერბაიჯანში და სომხეთში, ორივე ადგილას ვთქვი, რომ შეუძლებელია, გაგრძელდეს ის, რომ ჩვენ, ასეთი მეგობრული ქვეყნები, რომლებსაც მართლაც არა აქვთ არაფერი გასაყოფი, ვერ მივიდეთ იმ საბოლოო დემარკაციამდე, რომელიც არის პირველი ნიშანი სახელმწიფოებრიობის. ჩვენ რა სახელმწიფო ვართ, თუ პრაქტიკულად არც ერთი საზღვარი არ გვაქვს? ჩემთვის და ყველასთვის, ვისაც აქვს ეს მოქალაქეობრივი გაგება, ძალიან მტკივნეული საკითხი არის და უნდა შევუდგეთ ამ საკითხის გადაწყვეტას ძალიან აქტიურად, მაგრამ არა წინასწარი დათმობებით. არ შევალ დეტალებში, შეიძლება ვერ გაიგონ. ჩვენი პოზიცია არის ძალიან მკაფიო. არსებობდა საბჭოთა კავშირის ბოლოს საზღვარი, რომელიც იყო ადმინისტრაციული საზღვარი 1938 წლის რუკებით, რომლის მერეც არ ყოფილა ახალი რუკა. სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ეს არის ჩვეულებრივი გადაწყვეტა. მერე შეიძლება ამაზე მოლაპარაკება. საბოლოო არასოდეს არ არის ისეთი მკაცრი პოზიცია, მაგრამ ეს არის ჩვენი საწყისი პოზიცია და ეს ცნობილია ჩვენი მეგობრებისთვის“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# იმსჯელეს წყლის რესურსების მიზანმიმართულად გამოყენებაზე

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის წყლის მიმართულების მენეჯერს დევიდ მიშოს შეხვდა, სადაც მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საუკეთესო გამოცდილებაზე ისაუბრა.**

შეხვედრაზე საირიგაციო სისტემების წყლით უზრუნველყოფის საკითხები განიხილეს და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გვერდითი ეფექტების შემცირების გზებზე იმსჯელეს.

შეხვედრის მონაწილეებმა იმ პროექტებზეც ისაუბრეს, რომელიც წყლებზე მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეძლებს განახორციელოს.



ასევე აღინიშნა, რომ 8 მაისს ინტერსექტორული შეხვედრა გაიმართება, სადაც განიხილავენ იმ პრიორიტეტული წყალსაცავების მშენებლობის პროექტებს, რომელიც არამხოლოდ საირიგაციო ფუნქციის შემსრულებელი იქნება, არამედ მოემსახურება ქვეყნის ენერგეტიკულ მიზნებსაც.

# „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით ჩავარდა

**საქართველოს პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით ჩავარდა. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 61-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო 18 პარლამენტარი, საჭირო იყო 68 დეპუტატის მხარდაჭერა.**

დეპუტატებს შორის ცხარე კამათი გამოიწვია კანონიდან ტერმინ „ლიბერალურის“ ამოღების საკითხმა. უმრავლესობის წევრები ითხოვდნენ, კენჭისყრა პირველი მოსმენით ჩატარებულიყო და ტერმინებთან დაკავშირებით მეორე მოსმენაზე ემსჯელათ, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „ქართული ოცნების“ ნაწილი არ დაეთანხმა. კანონპროექტის მიხედვით, კანონიდან ამოღებული უნდა იყოს სიტყვა „ლიბერალური“. ცვლილებების ავტორები განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენადი მარგველაშვილი და წევრი ნუკრი ქანთარია არიან. ტერმინის ამოღებას ითხოვს „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი ადა მარშანია.

**„გინდათ, რომ ბავშვების გადაგვარების გზაზე დააყენოთ ქვეყანა. არ გამოგივათ ეს ამბავი. აბა რა პრეტენზია გაქვთ გამოჩენილო ლიბერალებო. რა გამრუდებული აზროვნების დეპუტატები ჰყავს ქვეყანას, რა დაგემართათ, რა ფეტიშიზმია აქ გაბატონებული ევროპის მიმართ“,** — განაცხადა ადა მარშანიამ. ნუკრი ქანთარიას განმარტებით, ლიბერალური ნიშნავს თავისუფლებას, თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბების შესახებ კი, კანონში ჩანაწერი ისედაც არსებობს. მისივე თქმით, გაუგებარია, რატომ კეთდება განსაკუთრებული აქცენტი სიტყვა ლიბერალურზე.

# იმედის ახალი სხივი ომგამოვლილი ქართველების, აფხაზების და ოსებისთვის

**როგორ შეინარჩუნო მეხსიერებაში მშობლიური სახლი,როცა უკვე 25 წელია, დევნილი ხარ? სვეტლანა ჩხვიმიანმა გადაწყვიტა, შეექმნა სპეციალური საიტი და ყველას, ვინც მის მდგომარეობაშია, სთავაზობს, რუკაზე მშობლიური სახლები მიუთითონ. აფხაზეთიდან დევნილი იმედოვნებს, რომ მისი საიტი აფხაზებსა და ოსებთან ქართველების ურთიერთობის პლატფორმად იქცევა.**

სვეტლანას 17 წელი ჭუბერში, უღელტეხილზე შეუსრულდა, როცა მისმა ოჯახმა გულრიფშის რაიონში მშობლიური სოფელი დატოვა. ამის შესახებ იგი ხშირად უყვებოდა მის სამ ვაჟს, რომელთაგან უფროსი 20 წლისაა, უმცროსი — ექვსის. თუმცა ერთხელ მან შეიტყო, რომ სოფელს სახელი შეუცვალეს: **„ჩემს სოფელს ახლა აძიდაკუარა ჰქვია. შესაძლოა, არასწორად გამოვთქვამდე, რადგან ეს აფხაზური სიტყვაა. დავფიქრდი: სამი ვაჟი მყავს და რა იქნება ჩემი სიკვდილის შემდეგ, როგორ მოძებნიან ისინი ამ ადგილს?“.**

მაშინ სვეტლანამ გადაწყვიტა, ინტერნეტში შეექმნა გზამკვლელი არა მარტო თავისი შვილების, არამედ ყველასთვის, ვინც იძულებული იყო, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სახლები დაეტოვებინა. დაიწყო მშობლიური სოფლით, რომელსაც „განახლება“ ჰქვია. თანასოფლელ შორენა გოროზიასთან ერთად დაიწყო მუშაობა საიტზე ganakhleba.ge, განათავსეს რუკა: **„დავიწყეთ ისტორიის აღდგენა იმ მონაცემების საფუძველზე, რომელიც ჩვენს მიერ ამ ადგილების დატოვების დროს არსებობდა. არც მეტი, არც ნაკლები. არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. უბრალოდ ვამბობთ: აი, აქ ჩემი სახლია. იდეა ბევრმა აიტაცა, — ამბობს სვეტლანა ჩხვიმიანი, — ბევრმა შემოგვთავაზა დახმარება. სრულიად უცხო ადამიანებმა გამიზიარეს შენარჩუნებული ფოტოები, მოგონებები“.**

სვეტლანას თავისი წესები აქვს, არ სურს, მის მიერ შექმნილ ინტერნეტ-პორტალზე ადამიანებმა ერთმანეთი ლანძღონ, შუღლი აღვივონ. მას ისეთი გარემოს ჩამოყალიბება სურს, რომელიც კონფლიქტგამოვლილი აფხაზების, ქართველებისა და ოსების დაახლოებას შეუწყობს ხელს: **„პირადად არც ერთ აფხაზს არ ვიცნობ. რომ მქონოდა მსგავსი კონტაქტები, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდებოდა. ჩემთვის მოუყოლიათ ისტორიები იმის შესახებ, როგორ მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები კონფლიქტამდე და კონფლიქტის დროსაც კი როგორ ეხმარებოდნენ, როგორ იფარებდნენ ერთმანეთს“.**

ganakhleba.ge-ზე ხალხმა ნაცნობების, ყოფილი თანაკლასელების, თანაკურსელების, დაკარგულების ძებნა დაიწყო.

აფხაზებსა და ოსებთან კონფლიქტს სვეტლანა ერთი ოჯახის წევრებს შორის ჩხუბს ადარებს: **„ვის არ სმენია ერთი ოჯახის შვილების სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობის შესახებ? რა შუაშია აქ ეროვნება? მსგავსი რამ ყველა ერში ხდება. არ ვიცი, როდის, მაგრამ ნაჩხუბარი ძმების შვილები ოდესმე აუცილებლად დასხდებიან ერთად და ყველა პრობლემას გადაჭრიან“.**

აფხაზეთიდან დევნილი იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან, მისი საიტი იქცევა პორტალად, რომელზეც ინფორმაცია აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზეც განთავსდება და ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტების დამყარებას შეძლებენ; რომ მას მისწერენ აფხაზებიც და ოსებიც. სვეტლანამ იცის, რომ შესაძლოა, აგრესიასაც წააწყდეს, თუმცა ეს არ აშინებს: **„მე მორწმუნე ვარ და ეს ძალას მმატებს“.**



# ევროსაბჭო გვიდასტურებს, რომ საქართველო ევროპაა





**ევროპაა თუ აზია? სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხმა გადაწყვიტა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების საკითხი. 1999 წელს ევროსაბჭომ საბოლოოდ დაადასტურა, რომ — საქართველო ევროპაა და შესაბამისად, ქვეყანას ევროპული განვითარების გზები შესთავაზა.**

ევროსაბჭოში გაწევრიანება საქართველოსთვის ისტორიულ მოვლენად მიიჩნევა. ამ მოვლენას კი სამუდამოდ დაუკავშირდა ქართველი პოლიტიკოსის ზურაბ ჟვანიას სახელი. **„ევროსაბჭოში გაწევრიანება ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ პოლიტიკურად საქართველო არის ევროპა. ამ დღის შემდეგ, დავა იმის შესახებ — ევროპაა თუ აზია — დარჩა მხოლოდ გეოგრაფიული მეცნიერების სიბრტყეში“,** — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ რონდელის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი **კახა გოგოლაშვილი.**

პოლიტოლოგი ამბობს, რომ ევროსაბჭოს წევრობა აუცილებელი პირობაა, ერთგვარი აუცილებელი საშვია ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

- **ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე;**
- **ევროსაბჭოში გაწევრიანება ამ უფლების მოსაპოვებელი ძალიან ძლიერი არგუმენტია საქართველოსთვის.?**

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას წინ უსწრებდა მწვავე დისკუსია საქართველოს ევროპულ იდენტობასთან დაკავშირებით.

ევროპელებს შორის გამართული კამათი, ბევრის მსგავსად, პოლიტოლოგ კორნელი კაკაჩიასაც ახსოვს:

- **ზოგი ამბობდა, რომ საქართველო გეოგრაფიულად არ შედის ევროპის საზღვრებში და ამიტომ — არ არის მისი ადგილი ევროსაბჭოში;**
- **ზოგი კი მომხრე იყო, რომ საკითხი უფრო კულტურული, რელიგიური თუ სხვა მახასიათებლების ჭრილში განხილულიყო.?**

**„უკვე 20 წელი გავიდა. საქართველო უფრო ახლოს არის ევროკავშირთან — გაფორმებული აქვს ასოცირებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება. თუმცა ევროსაბჭოს როლი კვლავაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით“,** — ამბობს კორნელი კაკაჩია.

* * *

ევროსაბჭოს უცვლელი ფასეულობებია: ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. სწორედ ამ ფასეულობების ერთგულება ევალება ევროსაბჭოს წევრ ყველა ქვეყანას.

2019 წელს ევროსაბჭო 70 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამჟამად ის **47 ქვეყანას აერთიანებს.**

ევროსაბჭო თვალს ადევნებს პროცესებს, აფასებს და გასცემს რეკომენდაციებს ამა თუ იმ ქვეყანაში ადამიანის უფლებების, სასამართლო სისტემის, კორუფციასთან ბრძოლისა თუ დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობის ჭრილში.

ამას ის ცნობილი სტრუქტურებისა და ინსტიტუციების საშუალებით აკეთებს; ესენია, მაგალითად:

- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (სტრასბურგის სასამართლო);**
- **ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა;**
- **მინისტრთა კომიტეტი;**
- **ვენეციის კომისია;**
- **ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი;**
- **კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი (GRECO).**

სწორედ საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებამ მისცა უნიკალური შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებს — სამართალი ეძებონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ძალიან ბევრმა სწორედ სტრასბურგის სასამართლოში დაამტკიცა თავისი სიმართლე.

იშვიათ შემთხვევებში, მაგრამ სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოთაშორის დავებსაც განიხილავს. ეს შესაძლებლობა რუსეთის წინააღმდეგ არაერთხელ გამოიყენა საქართველომაც და მაგალითად, **დეპორტირებულთა საქმეებზე** დაამარცხა კიდეც ის.

ახლა საქართველოს მოქალაქეები 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსაც ელოდებიან.

**„ევროპის საბჭომ უზარმაზარი, დადებითი როლი შეასრულა დემოკრატიის პირველი ყლორტების წარმოშობის, განმტკიცების საქმეში. ევროსაბჭო იყო იმედი, რომ რეალურად დაგვენერგა ევროპული, დასავლური ფასეულობები ჩვენს ქვეყანაში“,** — ეუბნება „რადიო თავისუფლებას“ ევროპის საბჭოს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დამაარსებელი და დირექტორი **არმაზ ახვლედიანი.**

არმაზ ახვლედიანი ფიქრობს, რომ მოლოდინი უფრო დიდი იყო და 20 წლის განმავლობაში საქართველოში მეტი პროგრესის მიღწევა იყო შესაძლებელი.

* * *

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგებს არაერთი რეზოლუცია მიუძღვნა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ — მკაცრი ტონითა და რუსეთისადმი მოწოდებებით:

- **გაიყვანოს თავისი არმია საქართველოს რეგიონებიდან;**
- **უკან წაიღოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების გადაწყვეტილება;**
- **დაუშვას ევროპელი მეთვალყურეები ოკუპირებულ ტერიტორიებზე;**
- **შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.**

აგვისტოს ომის თემა ევროსაბჭოს წინაშე რუსეთის ვალდებულებათა მონიტორინგის დოკუმენტებშიც აისახა. ომის თემაზე საპარლამენტო ასამბლეის სხდომათა დარბაზში დებატები იმართებოდა იმ შემთხვევებშიც, როდესაც რეზოლუცია უშუალოდ აგვისტოს ომს არ უკავშირდებოდა.

დებატების დროს რუსეთი ყოველთვის უმცირესობაში რჩებოდა. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა ტერმინი „ოკუპაცია“, რომელიც დოკუმენტებში არაერთგზის არის მოხსენიებული.

**„ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს აქვთ ვალდებულებებიც. თუკი შეილახა ქვეყნის სუვერენიტეტი, ერთმა ქვეყანამ მეორის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები, ან საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, თავისთავად ევროსაბჭო რეაგირებს, საპარლამენტო ასამბლეა რეზოლუციებს იღებს“,** — ამბობს **კახა გოგოლაშვილი.**

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებს, ისევე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა მოწოდებებს არასოდეს ითვალისწინებდა რუსეთი.

თუმცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ რეზოლუციებს პოლიტოლოგები თვლიან მნიშვნელოვან საყრდენად და იარაღად დეოკუპაციისთვის დიპლომატიური ბრძოლის პროცესში.

**ლელა კუნჭულია**

# საქართველოს უნივერსიტეტებში გაცემული დიპლომები ევროკავშირში აღიარებული და ვალიდური იქნება

**საქართველოს უნივერსიტეტებში გაცემული ყველა დიპლომი იქნება აღიარებული და ვალიდური ევროკავშირში,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციაში (ENQA) გაწევრიანებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



მთავრობის მეთაურმა ENQA-ში გაწევრიანებას ისტორიული ფაქტი უწოდა და აღნიშნა, რომ საქართველომ უმაღლესი განათლების ძალიან მაღალი სტანდარტისკენ ძალიან პრინციპული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

როგორც მამუკა ბახტაძემ განაცხადა, საქართველოს ექნება ყველა პრაქტიკული მექანიზმი რათა, უმაღლესი სასწავლებლები ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდნენ. პრემიერ-მინისტრმა ENQA-ში გაწევრიანებისთვის საქართველოს ევროპელ მეგობრებს და ამ პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

**„ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენს მიერ დაანონსებული განათლების რეფორმა, ჩვენი ეროვნული იდეა, უკვე კონკრეტულ შედეგებს გვაძლევს. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის დიდი გამარჯვება, მაგრამ ამავე დროს, ეს არის დიდი პასუხისმგებლობა. ჩვენ, ჩვენს უნივერსიტეტებთან ერთად, აქტიურად უნდა ვიმუშაოთ, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში დავაკმაყოფილოთ ყველა სტანდარტი და კრიტერიუმი. ჩვენ მაქსიმალური ფოკუსი უნდა გავაკეთოთ ხარისხზე. უდიდესი პასუხისმგებლობაა როდესაც შენს ქვეყანაში გაცემული დიპლომი ითვლება ვალიდურად ევროპაში და შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებსა და კრიტერიუმებს. ჩვენ ამას მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდეთ“,** — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

მთავრობა ინტენსიურად იმუშავებს საქართველოს უნივერსიტეტებთან, რათა ამ კუთხით სამოქმედო გეგმა გაიწეროს.

**„ჩვენ გვექნება ინტერნაციონალიზაციის მეტი საშუალება. ჩვენი უნივერსიტეტები ევროპულ უნივერსიტეტებთან მეტ დაახლოებას და კოოპერაციას შეძლებენ. იქნება მაქსიმალური მობილობა ქართველი სტუდენტებისა და პროფესორებისთვის ევროპაში მუშაობის თვალსაზრისით, ერთობლივი სამეცნიერო პროექტები და ა.შ. ეს ყველაფერი დაკავშირებული იქნება მეტ ფინანსურ რესურსთან. მოგეხსენებათ, ჩვენ ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტს მივმართავთ განათლებაზე, რაც, ფაქტობრივად, ბიუჯეტის მეოთხედია და, რა თქმა უნდა, ამ დაფინანსების ძალიან დიდი ნაწილი მიმართული იქნება უმაღლეს განათლებაზე, ჩვენს უნივერსიტეტებზე“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები, განათლების ექსპერტები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

# მშენებლობებზე მოულოდნელი რეიდები დაიწყო



**დედაქალაქში გაჩაღებულ უკონტროლო მშენებლობას თანდათან მარწუხებს მოუჭერენ.** თბილისის მერმა **კახა კალაძემ** მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დაადასტურა, რომ მერია სამშენებლო უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ნორმების მკაცრ კონტროლს იწყებს.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, კიდევ უფრო გავამკაცროთ ჩვენი მიდგომა და დამოკიდებულება სამშენებლო ობიექტებზე, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება. საჭიროა, კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ და აუცილებელია, ე.წ. რეიდების ჩატარება, რათა ყველასთვის მოულოდნელი იყოს იქ მისვლა და გადამოწმება, რათა ყველამ გაითავისოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის სიცოცხლე. ეს უნდა გაითავისოს, როგორც დამსაქმებელმა და დამკვეთმა, ასევე იმ ადამიანებმა, რომლებიც სამშენებლო ობიექტებზე არიან დასაქმებული“,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ სამშენებლო ობიექტები ისედაც კონტროლდებოდა, თუმცა რეიდების საშუალებით ეს პროცესი გააქტიურდება და მასშტაბურ სახეს მიიღებს.

ზოგადად მერია მშენებლობების მიმართ სხვადასხვა რეგულაციებისა თუ ცვლილებების შემოღების ინიციატივით გამოდის. ცოტა ხნის წინათ მერი და მისი მოადგილეები სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდნენ და დაგეგმილი ცვლილებები გააცნეს.

საუბარი შეეხო ერთჯერად ამნისტიას ისეთ შენობებთან მიმართებაში, რომელთა მშენებლობა დასრულებულია და შენობა, ხშირ შემთხვევაში, შესახლებულიცაა, თუმცა გარკვეული დარღვევების გამო, ექსპლუატაციაში ვერ შედის. საუბარი იყო შენობის ექსპლუატაციის წესის რეალურად ამოქმედებაზეც.

**„ვაპირებთ კანონდებლობის უფრო მეტად გამკაცრებას, რათა მშენებლობების პროცესში სავალალო დარღვევები აღარ მივიღოთ. ასევე ვაპირებთ, გავამკაცროთ კანონმდებლობა ექსპლუატაციაში მიღებამდე შენობა-ნაგებობის ფუნქციონირების ნაწილში - გვინდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ შენობის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ იყოს შესაძლებელი შენობის ფუნქციონირება და მასში ცხოვრება.**

**გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს შეღავათების დაწესება დაუსრულებელი მშენებლობების მიმართულებით. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი სურვილია, აღარ გაჩნდეს ქალაქში დაუსრულებელი, უსახური მშენებლობები. ამ ინიციატივებს დეველოპერების მხრიდან საკმაოდ დადებითი რეაქცია მოყვა. ძირითად ნაწილში შევთანხმდით, რომ სამივე ცვლილება მნიშვნელოვანი და აუცილებელია, თუმცა გამოითქვა შენიშვნებიც. ჩვენ მათ აუცილებლად გავითვალისწინებთ“,** — განაცხადა დედაქალაქის მერის მოადგილემ **ილია ელოშვილმა.**

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ამბობენ, რომ ნებისმიერი დამრღვევის მიმართ მკაცრი სანქციები დაწესდება. სამსახურის ხელმძღვანელის **გიორგი ბაგრატიონის** თქმით, რიგ შემთხვევაში კი, შესაძლოა, ობიექტის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღონ.

**„რეიდების დაწყების კონკრეტულ თარიღს ვერ გეტყვით. კონკრეტულ ობიექტს დაკომპლექტებული ჯგუფები შეამოწმებენ. თითო ობიექტზე, სავარაუდოდ, 4 ადამიანი შევა. გამოვლენილ ფაქტებზე კომპანიებს ჯარიმები დაუწესდებათ. სანქციები ისედაც არის და მომავალშიც გაგრძელდება.**

**ამ ეტაპზე კონტროლი მკაცრად ჩატარდება, ჩვენი მიზანია, უსაფრთხოების პირობების ნორმაზე მოყვანა, რასაც რეიდები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება დემონტაჟიც განხორციელდეს“,** — აცხადებს ბაგრატიონი.

**ბექა დანელია**

## კახა კალაძე ავტობუსის ფერის შესარჩევად ფეისბუქზე გამოკითხვას ატარებს



თბილისის მერმა კახა კალაძემ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მორიგი ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც დედაქალაქის მოსახლეობას ახალი, რვამეტრიანი ავტობუსების ფერის შესარჩევად მოსაზრებების დაფიქსირებისა და გამოკითხვაში მონაწილეობისკენ მოუწოდა.

კახა კალაძის თქმით, უკვე გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც წლის ბოლომდე თბილისში 220 ერთეულ რვამეტრიან ავტობუსს შემოიყვანს.

# თავისუფალი ბაზარი პირველი 10 საწარმოსთვის



**მაისიდან პირველ ათ მსხვილ საწარმოს შეეძლება ელექტროენერგია „თელასისა“ და „ენერგო-პროს“ გვერდის ავლით, პირდაპირ მწარმოებლისგან შეიძინოს. ეს რეფორმის პირველი ეტაპია, რომელიც საქართველოში თავისუფალი ენერგეტიკული ბაზრის ამოქმედებას ითვალისწინებს.**

საქართველომ ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „ენერგეტიკული გაერთიანების“ წინაშე აიღო ვალდებულება, რომ ენერგეტიკის სფეროში საბაზრო პრინციპებს დაამკვიდრებს. ჯერჯერობით თავისუფალი ვაჭრობის საშუალება ათიოდე მსხვილ საწარმოს მიეცა. მათ შორის არის მეტალურგიული ქარხნები, ბიტკოინების საწარმო დ ა.შ.

**„აქამდე ელექტროენერგია უნდა ეყიდათ მხოლოდ სადისტრიბუციო კომპანიებისგან, რომელიც მხოლოდ ორი გვაქვს — „თელასი“ და „ენერგო პრო“. ახლა საწარმოებს, რომლებიც დიდი რაოდენობით მოიხმარენ ელექტროენერგიას, საშუალება მიეცემათ, ის შუამავლის გარეშე შეიძინონ რომელიმე ჰიდროელექტროსადგურისგან, ქარის სადგურისგან ან, საერთოდ, სხვა ქვეყნიდან შემოიტანონ... ამით ხარჯი ნაკლები ექნებათ და სტიმული მიეცემათ მეტი აწარმოონ“,** — ამბობს ეკონომისტი ანდრია გვიდიანი. ამ შემთხვევაში მსხვილი საწარმოს კრიტერიუმებში მოექცა ის ათი კომპანია, რომლებიც თვეში არანაკლებ 5 მილიონ კილოვატ საათს მოიხმარენ: **„ჭიათურმანგანუმი“, „ჯეოსთილი“, „RMG COPPER“, „ჰაიდელბერგცემენტი“, „რუსთავის ფოლადი“, შპს „რუსელოის“, რუსთავის „აზოტი“, „ჯითიემ გრუპი“, შპს „აითილებ“, „ბლოქ ფაუერი“.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ ყველაფერთან ერთად ეს სიახლე ხელს შეუწყობს დენის დაბალი ტარიფის შენარჩუნებას. ენერგეტიკული რეფორმებისა და პროექტების დეპარტამენტის უფროსი ზაზა ჩიხრაძე ამბობს, რომ ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება, იაფი ენერგიის წყარო კი ბევრი არა გვაქვს.

ეს რომ არ გაკეთებულიყო, შესაძლოა სამომხმარებლო ტარიფები გაზრდილიყო, რადგან მზარდ მოხმარებას აღარ ჰყოფნის ენგურჰესის იაფი ენერგია...

იაფი ენერგიის წყაროში იგულისხმება ენგურჰესის ენერგია, რომელიც, როგორც წესი, მოსახლეობაზე ნაწილდება. ამჯერად მსხვილ მომხმარებლებს შეეძლებათ ელექტროენერგია სხვა ჰესებისგან შეისყიდონ.

**„მაისი შევარჩიეთ იმიტომ, რომ ზაფხულში ელექტროენერგია ყველაზე იაფია. ამ ეტაპზე მათ არ გაუჭირდებათ შედარებით იაფი ელექტროენერგიის მოძებნა. შეუძლიათ ასევე გაერთიანდნენ და ჯგუფური კონტრაქტები დადონ, რადგან გენერაციის ობიექტებსაც აქვთ ინტერესი, რომ სტაბილური მომხმარებლები ჰყავდეთ. ეს რომ არ გაკეთებულიყო, შესაძლოა სამომხმარებლო ტარიფები გაზრდილიყო, რადგან მზარდ მოხმარებას აღარ ჰყოფნის ენგურჰესის იაფი ენერგია“,** — ამბობს ზაზა ჩიხრაძე.

მისივე თქმით, რეფორმა გაგრძელდება ეტაპობრივად, რისი მიზანიც ბაზრის უფრო მეტად ლიბერალიზაციაა. საბოლოოდ ხალხს, ანუ ნებისმიერ მომხმარებელს, თავად შეეძლება, შეარჩიოს ენერგიის მწარმოებელი.

**თეა თოფურია**

# სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობა მაისში გაგრძელდება

**კოსტავას გამზირზე, დანიური სახლის უკან სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრის მშენებლობა მაისში გაგრძელდება. ობიექტის ერთ-ერთი მესაკუთრის, ჭაბუკა ჩირგაძის თქმით, მშენებლობა-რეკონსტრუქციის ძირითადი ნაწილი უკვე დასრულდა, თუმცა, სამშენებლო რეგულაციების ამოქმედების გამო პროექტის დასრულება გაჭიანურდა.**

როგორც ბიზნესმენი „კომერსანტთან“ განმარტავს, გაჭიანურების მიზეზი სახანძრო უსაფრთხოებაა, რომელიც კომპანიას პროექტში გათვალისწინებული და, შესაბამისად, მერიასთან შეთანხმებული არ ჰქონდა. ჩირგაძე აცხადებს, რომ სწორედ ამ და მსგავსს ტექნიკურ საკითხებზე ხდებოდა ამ დროის განმავლობაში პროექტის მორგება.

**„მერიაში ძალიან მობილიზებული სამსახურებია. საკმაოდ სწრაფი და მყისიერი რეკომენდაციები მივიღეთ. საკითხი ორგანიზებულად მოგვარდა. ახლა 15 მაისს ჩამოვლენ ინვესტორები და სრული კონცეპტუალური დაგეგმვა მოხდება,“ —** აცხადებს **ჩირგაძე.**

კითხვაზე, როდის შეძლებს სამედიცინო ცენტრი პირველი პაციენტის მიღებას და რა პროფილით, ჩირგაძე განმარტავს, შესაძლოა ეს წლის ბოლომდე მოხდეს. რაც შეეხება პროფილს, ჩირგაძე აცხადებს, რომ ეს იქნება ლაბორატორია, სადაც თითქმის ყველა ტიპის კვლევების ჩატარება იქნება შესაძლებელი. მათ შორის იქნება ღეროვანი უჯრედების ლაბორატორიაც.

**როგორც ცნობილია, 2017 წლის თებერვალში, თბილისში, კოსტავას №70-ში მდებარე ქონების ერთ-ერთი მესაკუთრე, ფიზიკური პირი ჭაბუკ ჩირგაძე გახდა. ინვესტორი გერმანიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენია და უძრავი ქონება ელექტრონულ აუქციონზე 1 483 000 ლარად იყიდა.**

მაშინ ითქვა, რომ მხოლოდ სამშენებლო-მოპირკეთების სამუშაოებში ინვესტორი დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარს დახარჯავდა.

**სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აუქციონზე გამოტანილი იყო თბილისში, კოსტავას ქუჩა №70-ში (იგივე გამსახურდიას გამზ. №5), №8 შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე 357.62 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, №8 შენობა-ნაგებობაში სარდაფის სართულზე მდებარე 103.30 კვ.მ ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ასევე №5 შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე მდებარე 748.27 კვ.მ ფართის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.**

**სოფო ქსოვრელი**

## მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შვილი

# ცისარტყელების ბინადარი

**მაყვალა გონაშვილს საიუბილეო თარიღი შეუსრულდა.**

ამ წერილს ერთი უბრალო დანიშნულება აქვს – მკითხველს აუხსნას, თუ რატომ უყვარს მის ავტორს მაყვალა გონაშვილის პოეზია და თავად ამ პოეზიის შემოქმედი.

მაყვალა გონაშვილის ლექსების პირველ კრებულს „ყაყაჩოების კოცნა" ჰქვია და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ მისტიკურმა, ფეერიულმა კოცნამ ისეთი კოცონი დაანთო, რომ მისი მხურვალება და სინატიფე დღემდე ლაიტმოტივად დაჰყვება პოეტის შემოქმედებას. არსთაგამრიგემ თითქოს სხივით ნაქარგი ქალამნები ჩააცვა ფეხზე, გიშრის თმაზე ჯიღა დაადგა და ისე გაუშვა პოეზიის უღრანებში სახეტიალოდ და თან მიანიშნა, რომ სახიფათო, ფათერაკებით და ტკივილებით სავსე გზებით ევლო, თუ უნდოდა, მისი შემოქმედება ნაღდი პოეზიის ტვიფარით ყოფილიყო აღბეჭდილი. თუ რამ ჩაიბეჭდა სულში ამ მშვენიერმა პოეტმა, რომლის შემოქმედების გარეშეც უკვე წარმოუდგენელია XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული პოეზია, ის ჩაიბეჭდა, რომ მისთვის უპირველესი საფიცარი და საესავი მიწის ის ბელტია, სამშობლო რომ ჰქვია სახელად, ოცნებებით უხედნავ ქარებს ადევნებული ქვეყანა, კაცობრიობის მადლსა და მირონს რომ წარმოადგენს – და კიდევ დედამიწის მარილს, რომლის გარეშე პეწი და ელვარება მოაკლდებოდა ჩვენს ცისფერ, ულამაზეს პლანეტას.




ჯანსულ ჩარკვიანი წერდა:

**„მაყვალა გონაშვილის ლექსთა მშვენიერება, როგორც წვიმის შემდეგ ცისარტყელა, ისე გამოკრთა ცაზე... მე ვგრძნობდი, იმ ბავშვურსა და პირველყოფილ გულუბრყვილობას, რომელიც საფანელია ჭეშმარიტი პოეზიისა".**

**„რა უნდა იყოს ლამაზი ქალის მშვენიერი ლექსების გამოსარჩლებაზე უფრო საამაყო, როცა იგი „სევდით სავსეა, როგორც ღრუბელი და თვით არ იცის, როდის იწვიმებს"**. – ეს ფრაზა კი ქართული მწერლობის კლასიკოსს ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის.

განა რაღა უნდა დაწერო ამაზე უკეთ, განა როგორ უნდა შეაფასო ამ დიდებული ქალბატონის შემოქმედება, რომ რაიმე ახალი და ღირსეული წამოგცდეს...

მაყვალა გონაშვილი ხომ ათეული წლებია, რაც ფეხშიშველი მიუყვება ეკლიან ბილიკებს და თან ათასი ჭორი და ტყუილ-მართალი მიჰყვება საპყარი მათხოვრის გუდასავით. დაბზარული ხორნაბუჯივით სული კბილით უჭირავს და მაინც არ ტყდება, არ ნებდება წუთისოფლის მდინარებას, მზის სხივებით ქსოვს ჩალისფერ დროშებს, კემსავს მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს, ბავშვივით ეთამაშება სიკვდილს კაცისა და მიწის უღელში შებმული და აქეთ გვებოდიშება, აქეთ გვთხოვს პატიებას, ნუ გამიწყრებით, თუ მარტის სულელ ამინდებს ვგევარო. მის სულში ხომ ყოველივე ისე მეორდება, როგორც ასი, ორასი, ათასი, მირიადი წლის წინათ მეორდებოდა: ფოთოლცვენა, ქარი და წვიმა, სიყვარული და თავგანწირვა, ერთგულება და ღალატი. ძნელია ყოველივე ამის ატანა, ამის გადახარშვა, მაგრამ პოეტია და უძლებს. რატომ? იმიტომ, რომ ისიც კარგად მოეხსენება, მის ნატერფალზე ცრემლები მზისფერ იებად ამოიწვერება ხოლმე და არნახული სურნელით აბრუებს გარემოს.

მაყვალა გონაშვილი ქართველი პოეტია, თხემით ტერფამდე ქართველი პოეტი, ქართულ სიწმინდეებში ჩაკირული პოეტი და რა გასაკვირია, გულის გულში ჰქონდეს ამოტვიფრული ილია ჭავჭავაძის – წმიდა ილია მართლის სამება – მამული, ენა, სარწმუნოება.

**ამდენმა ფიქრმა და დარდმა**
**ჟამივით ხელი დამრია,**
**შენს წილხვედრ მხარეს მიხედე,**
**გვედრებ, ქალწულო მარიამ!**

ევედრება ღვთისმშობელს, ევედრება ღვთიური მადლით სხივმოსილ მაცხოვარს და უფლის ხილვას დანატრებული სხივს მიჰყვება ზეციური სანახებისკენ, წმინდა საუფლოსკენ, მაგრამ ყველა კარი და დარაბა დახშული ხვდება. გამჭვარტლულ ცაზე როგორ გიპოვო, უზენაესოო, – აღმოხდება სასოწარკვეთილს. ეს ტრაგიზმით სავსე განცდა რეალობისა ბევრ რამეზე დააფიქრებს პოეტს, თუნდაც იმაზე, რომ მისი საესავი სამშობლო, მისი საესავი ქართველობა ვერ ცხოვრობს ისე, როგორც უნდა ცხოვრობდეს ღვთისმოშიში ერი, რომლისთვისაც უპირველესი ჭეშმარიტება უფლის ათი მცნება უნდა იყოს. ის, რასაც ახლა დავწერ, შეიძლება მთლად არ ესადაგებოდეს ამ წერილის დანიშნულებას, მაგრამ... ეს რა მართლაც უამური ჟამი დაგვიდგა, ქართველებო, როცა ერთი ხელით ვზღუდავთ (სრულიად სამართლიანად) თამბაქოსა და ნიკოტინის მოხმარებას, ხოლო მეორეთი ვაკანონებთ თამბაქოზე მირიადჯერ მეტი ბოროტების მომტანი ნარკოტიკების ლეგალიზაციას. ალბათ, ამიტომაც შემოგვწყრა უფალი და კიდევ სხვა უამრავი ცოდვისა თუ ბოროტების გამო. მაყვალა გონაშვილი კი ეძებს გზას ხსნისას და მიდის იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ არაფერი არ გვეშველება,

**თუ არ შემოაბიჯებს**
**ამ ქალაქში მზესავით**
**კაცი სხივზე მაღალი,**
**ძე – ცისა და მიწის...**

და კიდევ: არ გვეშველება მანამდე, სანამ საკუთარ გულში, საკუთარ სულში არ მოვიძიებთ და არ აღმოვაჩენთ არსთაგამრიგეს ჩვენსას. თავად პოეტს კი მისი წილი ქრისტეს კვართი და სამსჭუალი დიდი ხანია, სულში საგულდაგულოდ გადაუნახავს და ისე მიუყვება გოლგოთის გზას და თან თანამოძმეთ მოუწოდებს, ტაძრისკენ მიმავალ გზას გაჰყვნენ, მით უმეტეს, რომ საქართველოს დედაეკლესიას დღეს ჭეშმარიტად ღვთის კაცი – უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უდგას სათავეში. ღვთის კაცი, რომლის სიბრძნემ, გონიერებამ, წინდახედულებამ არაერთხელ იხსნა საქართველო უბედურებისაგან.

**მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ**
**ბედი ქართლისა,**
**ლოცვით და ცრემლით აგივსიათ**
**სიბრძნის სალარო,**
**რადგან თქვენ მყევხართ, მზის ნათელი**
**ადგას ჩემს მამულს,**
**სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო!**

მიმართავს პოეტი საქართველოს მწყემსმთავარს და ეიმედება მისი, ეიმედება, რომ ღვთისშობლის წილხვდომილი ქვეყანა გადარჩება, თუმცა ეჭვი მაინც ღრღნის და მოსვენებას არ აძლევს. აბა, როგორ მოისვენოს, როცა ხედავს, რომ საკუთარი ფესვები გადავჭერით, ფრთები მოვკვეთეთ ფუძის ანგელოზს, როცა „მოხვევია ჭიგოს ვნებით ვაზის ნაცვლად უსურვაზი", როცა ხომლის მთაზე ასულს ზვრების ნაცვლად საზამთროს ბაღჩები ხვდება, იმ საზამთროსი, ყიზილბაშთა ჩალმიან თავებს რომ აგონებს. დიახაც რომ ძნელია და ტკივილამდე აუტანელი იმის დანახვა, როგორ შემოხვევია ვაზს ეკალბარდი:

**ჩვენო საგალობელო,**
**შენ ნათლულო მზისა,**
**ნინოს თმით დახლართულო,**
**ხეო სიწმინდისა.**
**გაჩუქურთმეთ ტაძრებზე,**
**ვით ღვთისმშობლის ხატი,**
**გვინათებდა სტრიქონებს**
**შენი ათინათი.**

რამდენი სევდა და ვაებაა ჩაღვრილი ამ სტრიქონებში, რა მართალია პოეტი, როცა ხმამაღლა აცხადებს, გადახსნილი მაქვს ყველა ჭრილობა, სისხლით კი არა, სევდით ვიცლებიო. აბა, სხვანაირად რა იფიქროს და მოიმოქმედოს შემოქმედმა, როცა გონებადანისლული ქართველები მხოლოდ ხინკლის ოხშივარიდან შესცქერიან საკუთარ ქვეყანას და ლამის ლოთის სიყვარულივით ჩაატიონ ჭიქაში ივერთა მხარე. სწორედ ამ დროს ხვდება ქალბატონი მაყვალა, რომ მის გენში მისი დიდი წინაპრების შემკრთალი სული კივის და ბორგავს. დიახ, ცარგვალზე აცახცახებული ვარსკვლავების ხომლის ფონზე თრთიან და შფოთავენ წინაპართა წმინდა სულები და მოსვენებას არ გვაძლევენ, რადგან ამ ქვეყანაში ქარი რომ ქრის, ქარი კი არა, მამულის კვნესაა, წვიმის დროს კი წვიმის წვეთების ნაცვლად უფლის ცრემლი მოგორავს ტატნობზე... ჩვენს მიტოვებულ სოფლებს კი ერთადერთ ერთგულ ჭირისუფლად ქარბორბალა შერჩენია, წალეკვით რომ ემუქრება ყველას და ყველაფერს. სწორედ ამის შემხედვარეს აღმოხდება პოეტს:

**ეს ლექსი არაა, ეს ჩემი ცრემლია,**
**ამდენ ხანს გულით რომ ვმალე,**
**როდის გათენდება, როდის გათენდება?**
**მალე, სანატრელო, მალე...**
. . . . . . . . . . . . .
**ამირანს მტრის არა, ნათლიის**
**ჯინი სჭირს,**
**ყორანი დასწევია მერანს,**
**დღეს ნაწილ-ნაწილ გლეჯავენ**
**საქართველოს,**
**როგორც მაცხოვარის პერანგს.**

ყოველივე ამის შემდეგ, რა მორცხვად, რა საყვარლად წამოსცდება ავტორს:

**ვაი, როგორ მომენატრა**
**მზეზე მოშრუკული შინდი.**

და თქვენ ხვდებით, ძვირფასო მკითხველო, ამ მოშრუკული შინდის მონატრება უბრალო მონატრება არ არის, არც ბავშვობის მონატრებაა და არც იმ უმშვენიერესი მოგონებების მონატრება, ხანდახან ძილსაც რომ გვიკარგავს ხოლმე, ეს იმ საქართველოს მონატრებაა, როდესაც ქვეყანას მის ბედსა თუ უბედობაზე ღრმად ჩაფიქრებული ერისკაცები მართავდნენ, ქვეყნისთვის თავგანწირვა რომ შეეძლოთ, რომელთა წმინდა სისხლიც უხვად იღვრებოდა ყარაყორუმის უდაბნოებსა თუ შირაზის ველზე... იმ საქართველოს მონატრებაა, ვაჟკაცს ვაჟკაცი რომ ერქვა და მანდილოსანს – მანდილოსანი. ხედავთ, რა შეძლებია პოეტს, ერთ სტრიქონში ჩაატიოს ვეება დარდი და ვაება, ტკივილი და სასოწარკვეთა მაშინ, როდესაც მზეც კი აღარ მზეობს...

ყოველივე ამას გრძნობს და ხედავს პოეტი, გრძნობს, რომ ჟამი დამდგარა, ჟამი უჟამური უსიტყვო კაცთა, რომ ჩვენი ცხოვრება ჩრდილში დამწიფებულ ხილს დამსგავსებია, უგემურსა და არაფრის მაქნისს. ყოველივე ამის შემხედვარე შემოქმედი ვერ დარჩება გვერდზე და რინგის მსაჯივით ვერ დაუწყებს ათვლას ნოკაუტში ჩავარდნილ სამშობლოს. ამიტომაც ეს ბრწყინვალე ლირიკოსი, სიყვარულისთვის და დიდი ადამიანური ბედნიერებისთვის გაჩენილი სუსტზე სუსტი არსება, რომელიც ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს, ჯაჭვის პერანგს იცვამს, მუზარადს იხურავს თავზე და უშიშრად გამოდის მშობელი ქვეყნის სადარაჯოზე. ქალბატონ მაყვალას ბოლო წლების სამოქალაქო პოეზია გაკვირვებთ ფოლადისებური სიმტკიცით, შეუვალობით, პრინციპულობით და, რაც ყველაზე მთავარია, სიმართლით, დიდი ადამიანური სიმართლით, რომელსაც არათუ ვერ შეედავები, ხმასაც ვერ ამოიღებ.

მაყვალა გონაშვილის სამოქალაქო პოეზია შიმშილით გასავათებული, ფიქრით გამოფიტული თანამოძმეების გამოსარჩლებაა, რომელთაც სამშობლო ერთ დიდ ფსიქიატრიულ კლინიკად გადაქცევიათ და აღარ იციან ზვავში მოყოლილებმა, რომელ ერთ სატკივარს, რომელ ერთ პრობლემას უსაშველონ. თანამედროვე დემოკრატია ხომ ნებადართულ სიძულვილად ქცეულა ყოველივე იმისა, რამაც აქამომდე მოგვიყვანა.

**გზა აბნევია ფუძის ანგელოზს,**
**ჩამოქცეულა მაღალი ჭერი**
**და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს**
**ავტომატების აღვიძებს ჯერი...**

სული შეგეკვრებათ, გული შეგეკუმშებათ ამ ციკლის ლექსების წაკითხვისას. პოეტის მიზანიც ეს არის, რომ გამოაფხიზლოს ლამის საღათას ძილში ჩავარდნილი ერი და ის საწოვარა გამოაცალოს პირიდან, რომლითაც მის სამუდამო მიძინებას აპირებენ.

**ჩემი სიმცირით მამცირებენ,**
**ჩემი სიკეთით,**
**პოლიტიკას კი საძაგელი სუნი აქვს**
**შმორის,**
**ვდგავარ დაღლილი სიმართლის და**
**სიცრუის კართან**
**და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და**
**სიცოცხლეს შორის.**

გუშინ იყო თუ გუშინწინ, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი ერთი ჯამიდან სვამდნენ, ერთი გობიდან ჭამდნენ და მაინც არ ინდობდნენ ერთმანეთს ცეცხლისთვის, ქალისთვის, აბრუებდათ პირველკაცობის ჟინი და სურვილი, სიტყვებს, როგორც გვირგვინს, ისე ირგებდნენ თავზე ეს თვითმარქვია ქვემძრომები, როგორ „უხდებოდათ" ბრძენის მანტიები გაზულუქებულ მანქურთებს, რომლებიც მრუდე სარკეების სამეფოში აცხოვრებდნენ ერს, რომლის ერთადერთ შეცოდებას ის წარმოადგენდა, რომ ქართველებად ვიშვით ამქვეყნად.

**ამ ჩემს ტკივილს რას გაიგებს**
**ჩვენი მეფე**
**ქართველითა ქართველისა**
**შემმუსვრელი.**

ამ სტრიქონების დაწერა ჩვენს უახლოეს წარსულში დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა და ბარაქალა მაყვალა გონაშვილს, რომ ყველა პარტიაზე მაღლა პატრია დააყენა. არც იმ ლექსის დაწერა გახლდათ მთლად უხიფათო, „თოჯინების სახელმწიფო" რომ ჰქვია.

**ვინ გიწოდათ თოჯინები**
**შუშისთვალა მაცილებს?**
**თუ ხისა ხართ, როგორ აფრქვევთ**
**სიძულვილის ბაცილებს?**
. . . . . . . . . . . . . .
**თოჯინების სახელმწიფო,**
**სახელმწიფო თეატრი.**

ამ თოჯინების სახელმწიფოში ყველაფერი იყიდებოდა – სულიც, სხეულიც, სიყვარულიც, ერთგულებაც, იყიდებოდა გროშ-კაპიკად, იყიდებოდა ჩვენი სამშობლოც, უფლის კვართად გადაქცეული სამ-

შობლო და არავინ იყო განმკითხავი. და როცა ყველაფერი იყიდება, უკლებლივ ყველაფერი, იქნებ მართლა ბოლო გაჩერებას ვუახლოვდებით, რა გვეშველება? რა გვეშველება, როდესაც მოგონილი გულწრფელობით, ლიქნითა და ფარისევლობით ქადაგებენ ტელებიჭუნები, როდესაც ქვეყანა გაავსო ტელე-ჯარმა, ტელე-გმირმა, ტელე-პოეტმა, ტელე-პარლამენტმა. რაღა დაგვრჩენია ამ დროს?

**მაშ, გამორთე ეგ ცრუ ყუთი,**
**ჩემო ბრძენო ერო.**
**ეკრანს მიღმა — დარდიანო,**
**ტელე — ბედნიერო!**

აღარავის ახსოვდა (თუ — ახსოვს), მზე რომ დედა არის ჩვენი, მთვარე კიდევ — მამა, ვარსკვლავები — დები და ძმები. აბა, რა გასაკვირია, თუ ამ დროს სიყვარული, თავგანწირვა, რწმენა, არც მეტი და არც ნაკლები, ერთ კუპონად ფასობს.

**ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი**
**არ მშველის წამლად და მალამოდ,**
**უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით**
**გკემსო**
**ჩემო დაფლეთილო ალამო.**

მართლაც შემზარავი პანორამა გადაიშალა ჩვენი უახლოესი წარსულისა, როდესაც ქვეყანა იქცეოდა და მავანნი, ხელისუფლებაში სასწაულებრივად მოხვედრილი შადიმანები, ყურს გვიხედნიდნენ იმით, რომ თურმე საქართველოს ისტორია მათი მოსვლის შემდეგ დაიწყო. ამაზე დიდი ცინიზმი და ნიჰილიზმი წარმოუდგენელია და იმ მრუმე დიდი ღამის შემხედვარეს, მაყვალა გონაშვილს სწამდა, რომ თუ რამ იხსნიდა მის სამშობლოს, მისი ფესვები იხსნიდა, მიწაში მყარად ჩაკირული ფესვები, პაატა სააკაძის მოჭრილი თავი, ქეთევან დედოფლის დაშანთული მკერდი და უსახელო უფლისციხელის ნაისრალი ზურგი...

მაყვალა გონაშვილი მაცხოვარივით ჯვარცმული ქვეყნის შვილია და ამ ქვეყნის შვილობა ბევრჯერ დააფიქრებს იმაზე, რომ ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს, დააფიქრებს იმაზეც, რომ ცხოვრება ძლიერ ჩამოჰგავს ზღაპარს და ჭინკაჭორივით დაძრწის სოფლად.

**მე გამოვექეც შენს ზღაპრებს, პაპი,**
**გზად შევეჩეხე ჯადოქრებს, დევებს,**
**რად არ მახსოვდა, ღმერთთან**
**მორკინალს**
**ზღაპარშიც სჯიან, ზღაპრადაც სდევენ.**

პოეტი მიუყვება გზაწვრილს, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, მიუყვება წუთივით მოკლე მარადისობის დაღლილი, თვალებში ბინდჩაგუბებული მგზავრი, რომელსაც ის ეიმედება, რომ, თუ აღესრულება და ცის სინარნარეს შეერწყმება, შეერწყმება სიმღერით და ესეც მისი ბედი იქნება. ტკივილისგან, დარდისგან, ვაებისგან სულშეძრული გაუთენებელ ღამეებს ფხოჭნის სანთლისფერი მკრთალი თითებით, რადგანაც ხედავს, რომ ჟამი ისევ ერთი საცრით ცრის კეთილს თუ ბოროტს, მტყუანს თუ მართალს, როცა ღიმილი რომ ღიმილია, ისიც კი მავანთა სახეზე შემზარავ ლოკოკინას ლორწოვან ბილიკს აგონებს.

**ერთხელ მოვსულვართ ამ ქვეყანაზე,**
**ღმერთმა გვიბოძა გზა, ერთი ციდა,**
**წამი არ გვრჩება სიყვარულისთვის,**
**სიძულვილისთვის? რამდენიც გინდათ.**

წუხს იმაზე, რომ ხშირად ფუძის ანგელოზივით ჩამოქნილ სილამაზესა და მშვენიერებას ვერ ამჩნევენ და სხვათა გარეგნულ ფოიერვერკებს ეთაყვანებიან. არადა, ფოიერვერკს ერთი ცუდი თვისება გააჩნია — მყისიერად იფერფლება და ქრება. იცის, რომ ძნელია მოგონილი ბედნიერებით ცხოვრება, როცა ვნება რომ ვნებაა, ზოგჯერ დაფარულზე დაფარული, იმასაც სულ სხვა ქარებს უზიარებენ, როცა ალვის ხეებად ბალბას და ქონდარს ასაღებენ, ციცინათელებს კი — მზედ.

**სხვა რა მადარდებს? — თეთრი მერცხალი**
**ჩემს აივანზე აღარა ბუდობს**
**და ჩუმი სევდა ისე ყვავილობს,**
**ვით გაზაფხულზე ჭორი და სურდო.**

მხარზე ჰყავს შესმული ფუჭი ოცნების და ტკივილების ვეჟანა ძერა, გადახსნილი აქვს ყველა იარა და უფალს შესთხოვს, პატიების მომმადლე ნიჭი, ტკივილები ეკლებად შემასხიო. კიდევ ის უნდა, ვინმემ მუჭა გაზაფხული უსახსოვროს და დაეხმაროს, რომ როგორმე სიტყვით უწამლონ ამაოების ბაზარს.

**როცა დარეკავს ჟამი განკითხვის,**
**ცა სამაისო შვიდჯერ იელვებს,**
**რითი შევავსებთ, ვიცოდე, მაინც,**
**ამ გასაოცარ სიცარიელეს.**

ერთი რამ დანამდვილებით იცის — ბედს არ უნდა მიენდო, თორემ ნაფოტივით აგათამაშებს წუთისოფლის მორევში და ბოლოს მოუსავლეთში გაგრიყავს და გაგინაპირებს...

ძვირფასო მკითხველო! საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ მაყვალა გონაშვილის პოეზიაზე, მის მოქალაქეობრივ მრწამსსა და პოზიციაზე. ერთი კი არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ის უპირველეს ყოვლისა, ქალბატონია, სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის დაბადებული ქალბატონი, რომლის პოეზიასაც სიყვარულის განცდა სულ სხვა პეწსა და ელვარებას მატებს...

პოეტის ლირიკულ გმირს შეუძლია მოთიბული ბალახივით მხარგაშლით გაწვეს მინდორზე და თავსაიათი დამშვენებული დაელოდოს თეთრ ბედაურზე ამხედრებულ გულის სწორს. ცხოვრობს ისე, როგორც ცხოვრობენ მეოცნებე ქალები, მასპინძლობს დაღლილ ქარებს და წვიმებს და ევას გეშით დაეძებს მარადიულ ნახევარს, კარგად იცის, რომ კაცი თუ ტკივილებით ფასდება, ქალს ლოდინის ნიჭი გამოარჩევს.

**კოშკი ვარ, თეთრი კირით ნაგები**
**და ზეცას წვდება ჩემი ფიქრები.**

ამ ფიქრებში კი სიზმრის კაცისთვის შლის მთვარის ლოგინს, ნისლებად ჩამოღვრას აპირებს საყვარელი არსებისთვის.

**და ჩემი ტრფობაც, არ გაგიკვირდეთ,**
**მეცხვარე ბიჭის**
**დაგუბებულ მონატრებას ჰგავს,**
**როცა ბალახსაც აქვს ქალის სილბო,**
**როცა წყაროსაც აქვს ქალის სიტკბო,**
**როცა ხეებსაც აქვს ქალის ფორმა...**

განა რისი გაღება შეუძლია მსხვერპლად სატრფოსთვის? შეუძლია, სიყვარულის ქათიბი მოუქსოვოს, ფიფქივით დააკვდეს ხელისგულზე და კიდევ ის, რომ მოქათქათე ღრუბლის ფთილიდან ერთგულების ძაფი დაართოს. ის კი იგვიანებს, საეჭვოდ იგვიანებს და გულშეძრულ ქალს ისღა დარჩენია, დაიჩურჩულოს:

**მე უნდა ვზიდო შენი ცრემლები,**
**მე მოღალატედ როდი ვშობილვარ,**
**აჰა, მოვედი შენს დასახსნელად**
**შენი სიზმრიდან და ბავშვობიდან.**

როცა ყველაფერი თითქოს ჩავლილია, როცა თითქოს ყველაფერი დამცხრალია, როცა ყველაფერი უბიწოდ მოჩანს სიმარტოვის და ღმერთის ჩეროდან, როცა დავიწყების ლაფით ამოქოლილია მოგონების ყველა ჩერო, მაინც თავს გამოყოფს წარსული და სიზიფეს ლოდებივით დამძიმებულ სიტყვას ათქმევინებს:

**ვიცი, ჩემს ყოფას ჰქვია ცხოვრება,**
**ვიცი, ამ კედლებს ოჯახი ჰქვია,**
**იქ კი, საოცარ შენს საუფლოში**
**სულ სხვანაირი ქარები ქრიან.**

ეს ქარებია, თავს რომ არ ანებებს და გულს უკაწრავს, იცის, რომ

**ქება ქარია, ალერსიც ქარი...**
**ისე ჩაივლის, რომ ნაკვალევს**
**არც კი დატოვებს,**
**მაგრამ რა ვუყო**
**ამ ტკივილის წითელ ყვავილებს?**

ამ ტკივილებით გაჯერებული ღამეები იცრიცებიან და რიჟრაჟისას ნატანჯი სული ცდილობს, უმძრახ მდინარეს გაატანოს სიზმრად ნანახი თავდავიწყება, თუმცა

**დავჭკვიანდი, აღარ ვებრძვი ქარებს,**
**რა ხანია, სიზმრის აღარ მჯერა!**
**ვერ გავიგე, მაინც რად მგვრის სევდას**
**წარსულისკენ გადახრილი მზერა.**

ვერ გავიგეო, აცხადებს და ის კი ავიწყდება, რომ სფინქსის გამოცანად ქცეული ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელი რჩება ყველასთვის...

**ხომ გუშინ იყო, გუშინ იყო ის**
**გაზაფხული**
**და მაინც როგორ,ოი, როგორ**
**მომნატრებია.**

მაყვალა გონაშვილის ლირიკული პოეზია, მზით, ქარიშხლებითა და ნიაღვრებით სავსე პოეზია მეტად საპატიო ადგილს იკავებს თანამედროვე ქართულ სატრფიალო ლირიკაში თავისი ქალური კდემამოსილებით, არტახებში გამომწყვდეული ვნებებითა და წვიმის თქორებით, ადამიანური სიმართლით და გამოხატვის უბრალოებით...

მაყვალა გონაშვილმა კარგად იცის, რომ პოეტი თუ ხარ, სული მაჩიტებით უნდა გქონდეს სავსე, საზრდოდ კი იის სურნელი გყოფნიდეს, იმ აყვავებულ ატმის ხეს უნდა ჰგავდე, რომელსაც მუდამ ამტვრევენ რტოებს, იმ ხეს, რომლის ჩრდილშიც ნეტარებით მოისვენებს დაღლილი მგზავრი და მერმე უკანმოუხედავად გაუყვება გზას, იცის, სად იწყება და სად მთავრდება მისი სავალი, ლექსებითა აქვს დაჭორფლილი სახე, სული კი მზითა და ლექსებით მოუჭედავს, ქართული სიტყვის ხოდაბუნებში უყვარს ხეტიალი.

**ვარ სევდით სავსე, როგორც ღრუბელი**
**და თვით არ ვიცი, როდის ვიწვიმებ,**
**ვფურცლავ ლექსიკონს, ვკინძავ ძველ**
**სიტყვებს,**
**გადავიწყებულს, როგორც სიწმინდეს.**

ამ სიწმინდეებთან ზიარება, ქართულ სიტყვასთან გაუთავებელი ჭიდილი პოეტის არსებობის გამართლებას წარმოადგენს და როგორ შეიძლება, არ დავუჯეროთ, როცა ასე საბრალობლად აცხადებს:

**თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,**
**დედასავით დამიბერდა.**

პოეტია და უნდა ვენდოთ, როცა თავისთავს ბულბულს კი არა, ქვეყნის ბედზე ჯაჭვით მიბმულ ძაღლს ადარებს, უერთგულეს არსებას დედამიწის გულზე, პოეტია და უნდა ვენდოთ, როცა ხმამაღლა აცხადებს, რაც ამ მიწაზე ეკალი ამოსულა, ყველა მათგანი ჩემს გულს ატყვიაო. არც იმაზე წუწუნებს, ჩემი წილი მზის სხივი, ჩემი წილი დიბა-ატლასი სხვას რატომ ერგოო, მაშინაც უნდა ვენდოთ, როდესაც გულიდან აღმოხდება დიდზე დიდი ჭეშმარიტება, ასჯერ მაინც უნდა წაიქცე, რომ მერე ერთხელ მაინც ზეცად ამაღლდეო. ამისთვის ილვწის ეს მშვენიერი პოეტი და ხშირადაც აღწევს მიზანს.

მაყვალა გონაშვილის ლექსი უბატონო ქვეყნის — ქიზიყის მადლით და მირონითაა გაპოხიერებული, იქაური ხორშაკიანი მზის მხურვალება ამჩნევია მის პოეზიას, შირაქის ველის უსასრულობა ასაზრდოებს მის ნააზრევს და ისიც სიყვარულით პასუხობს მშობლიური კუთხის სანახებს, რომლის ერთ მადლიან ბელტსაც თავად წარმოადგენს. მიწის შვილია და მიწის თემა ისე ძალუმად, ისე უშუალოდ და ძალდაუტანებლად შემოდის მის პოეზიაში, რომ ზოგჯერ ვერც კი გაიაზრებ მის სიდიადეს.

**ჯერ ამიხილეს თვალები, მერე**
**მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს,**
**და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,**
**ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს.**

დიახაც რომ შველა და ალერსი სჭირდება მიწას — ჩვენს მარჩენალს, რომელზეც მიჯაჭვულნი ვართ ჩვენი წარსულით, აწმყოთი და მომავლით და ვერაფრით ჩავუგდებთ ხელში საჯიჯგნად გადამთიელთ. ჩვენი ქვეყნის ოკრობოკრო გზები სულს გვივსებენ ნათელით, თუ მშობლიურ მიწამდე მივყავართ, აღთქმულ მიწამდე. ნახეთ, რა ნატიფი, რა უმშვენიერესი სტრიქონები უძღვნა პოეტმა მიწას, რომელიც თქვენი ნებართვით მთლიანად მომყავს:

**ვით მშვენიერი პატარძლის კაბა,**
**მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი**
**და იწვა მიწა, სურვილით სავსე,**
**მკვრივი კერტებით მიმოთენთილი,**
**ბალახის თმებში იბნევდა იებს,**
**გადახსნილიყო ცის ლურჯი კარი,**
**სხვაგვარი ცეცხლით იწვოდა მიწა, —**
**მარადიული ვნება და ქალი.**

ახლა ვერც ვიხსენებ, ასეთი ვნებით და გატაცებით ვინმეს ოდა მიეძღვნას ჩვენი მარჩენალი მიწისათვის.

მაყვალა გონაშვილს სხვათა სიკეთისა და სათნოების დანახვა შეუძლია, მათი ნიჭიერების დანახვა. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ვისაც შური და ბოღმა არ აწუხებს სხვათა სიკეთეთა გამო. მართლაც, რა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ასეთი ბრწყინვალე სტრიქონების დაწერა:

**გარდაცვალება კაცთა ხვედრია,**
**უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი.**
**შენ შეურთდი ზეციურ წიაღს**
**და ისევ უფლის სახელით მღერი.**

ეს ციტატა იმ ლექსიდანაა, საქართველოს მაფშალიას — ჰამლეტ გონაშვილს რომ ეძღვნება.

ბედნიერებაა, როცა ხედავ, როგორ იღებს მკერდიდან გულს პოეტი და ცაზე მზედ ჰკიდებს.

**ლომის ძეო, ლომის ძმაო,**
**ლომო, ლომად ბერდები,**
**მხრებში როდი იხრებიან**
**შევერცხლილი ქედები.**

როგორ უხდება ეს სტრიქონები ახლა უკვე მარადიულ ნათელში მყოფ ჯანსულ ჩარკვიანს...

ჩემი მოკრძალებული აზრით, მაყვალა გონაშვილი ერთნაირი ძალმოსილებით იმორჩილებს როგორც სამოქალაქო, ისე სატრფიალო ლირიკის სადავეებს, გვახედებს ადამიანის სულის ჩაბნელებულ ხევხუვებში, დაგვაფიქრებს ადამიანური ყოფის უმტკივნეულეს პრობლემებზე და კიდევ სხვა უამრავ რამეზე, რასაც ჩვენი ცხოვრება ჰქვია, ცხოვრება სულ ცოტა სამი ათასი წლის ისტორიის მქონე ერისა, რომელმაც საკუთარი სისხლით დაწერა საკუთარივე მატიანე და დღევანდლამდე მოატანა. ვფიქრობ, დღევანდელ გამოწვევებსაც გაუძლებს, გაუძლებს ცრუმესიათა პარპაშს ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწაზე, რათა საუკუნეების მიღმაც ამაყად იფრიალონ ქართულმა ბაირაღებმა ფარნავაზისა და დავით აღმაშენებლის სულის საოხად. ყოველივე ამაზე მოგვითხრობს მაყვალა გონაშვილი თავისი ლექსით, თავისი პოეზიით, ბეწვის ხიდზე უხდება სიარული ამ დროს, რომ სათქმელის სიმძაფრე და გამოხატვის საშუალებები სინერგიის სადარ ჰარმონიაში იყოს ერთმანეთთან. მე რომ მკითხოთ, ამ ბეწვის ხიდს პოეტი მინიმალური დანაკარგებით გადის, უფრო მეტიც, ისე გადის, ერთი ბეწვიც არ უვარდება თმიდან. რას ვგულისხმობ და იმას, რომ ქალბატონი მაყვალა პოეტია და სრულად აქვს გასიგრძეგანებული, რომ სათქმელი, რაოდენ მძაფრი და მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს, თუ პოეტურ საფანელში არ გაეხვა, თუ პოეტურ ქურაში გულის სისხლით არ გამოიწრთო, შედეგი სავალალო და გულისმომკვლელი იქნება. პოეტი თუ ხარ, იმის გააზრებაც უნდა შეგეძლოს, რომ „ბოლოს სიკვდილიც მოკვდება სიცოცხლის გარდაცვალებით“, რომ :

**და როგორც ზანგ ქალს საყურე ერთი**
**ფერად ყვითელი და სასწაული,**
**რტოზე ეკიდა ფოთოლი მჭკნარი,**
**ვით სიმარტოვის დღესასწაული.**

სულისშემძვრელი შედარებაა... მჭკნარი ფოთოლი სიმარტოვის დღესასწაულს აგონებს პოეტს, იმ სიმარტოვეს, რომელიც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის მარადიული თანამდევია და რომლის გარეშე ვერ შეიქმნებოდა ის შედევრები, რომლებიც ჩვენს არსებობას შვებას ჰგვრის და სიცოცხლის წყურვილს უხანგრძლივებს...

პოეტია და იმის დანახვაც შეუძლია, როგორ ჟონავს გუმბათებიდან მზის მადლი.

აი, კიდევ ერთი მინი-შედევრი:

**ვით მშვენიერი პატარძლის კაბა,**
**მზემ მოისროლა ჭრელი მერდინი,**
**და იწვა მიწა სურვილით სავსე,**
**მკვრივი კერტებით მიმოთენთილი.**

ამ ჟრუანტელისმომგვრელი სტრიქონების მერე უკვე აღარ გვიკვირს, როცა პოეტის ბაგე გადათიბული მინდვრის სურნელს აფრქვევს, როდესაც სარკეს ისე ჩასცქერის, როგორც გვალვისგან დამშრალ მდინარეს, როცა იმის დანახვა შეუძლია, ცეცხლისფერ ვარდებს რა უსწრაფესად მოიყრის ტანზე შემგლისფერებული ზეცა, ყაყაჩოსავით როგორ ტყდება შუქი.

**ცა კაბასავით დამივიწროვდა,**
**ვდგევარ მუხლამდე ღრუბლის გუბეში,**
**წვიმის კიბეთი ჩამოდის ციდან**
**სიგრილე — მიწის ჩუმი ნუგეში.**

აი, ასეთი პოეტია მაყვალა გონაშვილი, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ ნატერფალზე ჩემი ცრემლები ამოდიოდნენ მზისფერ იებადო და დაგვაჯეროს ამაში.

რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია, პოეტი საოცარი სინარნარითა და სიჩაუქით იმორჩილებს ქართულ სიტყვას და მას არანაირ პოეტურ აქსესუარებზე არ ცვლის, არ აკნინებს. დიახაც, რომ თავანკარა ქართულის, უმშვენიერესი პოეზიის პატრონია მაყვალა გონაშვილი და როცა იგი დაეჭვებით გვეკითხება:

**როგორ გგონიათ, ვიპოვნი ჩემს თავს?**
**მეწევა ბედი? როგორ გგონიათ?!**

პატიოსნად უნდა ვუპასუხო:

ქალბატონო მაყვალა!

ბედის შეწევნისა რა მოგახსენო, როდის იყო ბედი ნამდვილ, ჩაკირულ შემოქმედებს ეწეოდა, აი, რაც შეეხება საკუთარი თავის პოვნას, დაუფიქრებლად გეტყვი — შენი თავი დიდი ხანია, რაც ნაპოვნი გაქვს,შენი ადგილი, შენი ნიშა ქართულ მწერლობაში, დიდი ხანია, ნაპოვნი გაქვს, უფრო მეტიც, თანამედროვე ქართული პოეზია წარმოუდგენელია შენი მზისფერი, მზისდარი შემოქმედების გარეშე.

ღმერთმა დაგლოცოს!



**ზაალ ბოტკოველი**

# რუსები „ჯალათი“ სტალინის რეაბილიტაციას აპირებენ!



**ვინც მეზობელი რუსეთის სატელევიზიო გადაცემებს, განსაკუთრებით თოქ-შოუებს უყურებს, უმალ შენიშნავს საყურადღებო ფაქტს — იოსებ სტალინის მოჭარბებულ ხსენებას, თანაც დადებით კონტექსტში. რას ნიშნავს ყოველივე ეს და ნიშნავს თუ არა სტალინის რეაბილიტაციას?**

**კითხვა არც შემთხვევითია და არც უადგილო... როდესაც რუსული სახელმწიფო ტელეარხები არა მარტო თოქ-შოუებში ახსენებენ სტალინს, არამედ ვრცელ სიუჟეტებსაც უძღვნიან მას, თანაც პოზიტიურად, ნამდვილად სხვაგვარად არის საქმე.**

სტალინის სახელის ხსენება რუსულ ტელეარხებზე ან ტელეფილმების ჩვენება იშვიათობა არ არის, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება — იშვიათობაა. იშვიათობაა, როდესაც სენატორი და პოლიტოლოგი პუშკოვი თავის ერთსაათიან გადაცემაში ტელეკომპანია „TV ცენტრზე“ ვრცელ, დადებით სიუჟეტს უძღვნის სტალინს; პოპულარული და გავლენიანი ტელეჟურნალისტი სოლოვიოვი თავის თოქ-შოუში სისტემატურად მოიხსენიებს სტალინს დადებით კონტექსტში; „რტრ პლანეტას“ გადაცემა „60 წუთის“ წამყვანები სკაბეევა და პოპოვი სტალინს ხშირად ახსენებენ, როდესაც ქვეყნის ისტორიაზე ამახვილებენ ყურადღებას — რაღაცაშია საქმე და ეს „რაღაცა“ ზემოდან წამოსულ მოწოდებას ჰგავს.

სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ყველა არხი, ყველა თოქ-შოუ, ყველა ცნობილი ტელეჟურნალისტი და პოლიტანალიტიკოსი ერთდროულად იწყებს დადებით ღაღადს სტალინზე. ცხადია, ეს „რაღაც“ ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავს უკავშირდება, მაგრამ უკვე რახანია ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდეგ რუსეთი 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვებას ზეიმობს უსტალინოდ, ანუ მისი სახელის ხსენების გარეშე, თითქოს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება მარტო საბჭოთა ხალხის დამსახურებაა, აგრეთვე საბჭოთა გენერლებისა და მარშალების და არა სტალინის.

დიახ! ხალხმა შესწირა თავი საკუთარი ქვეყნის თავისუფლებას, მაგრამ ვერც ერთი ქვეყნის ხალხი ხელმძღვანელის, წინამძღოლის გარეშე ვერ მიაღწევდა და მიაღწევს მტერზე გამარჯვებას და ვერც მშვიდობიან აღმშენებლობაში — წარმატებას. ასე იყო და იქნება და რაც არ უნდა ვიძახოთ — „ხალხი“, არაფერი გამოვა. ხალხი და მისი ლიდერი, რამეთუ ულიდეროდ ხალხი ვერაფერს გახდება.

იქნებ საყოველთაო გამოკითხვის შედეგმა აიძულა ხელისუფლება სტალინი დადებით კონტექსტში ეხსენებინა! შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ გამოკითხვები ხომ წლის განმავლობაში მრავალჯერ ტარდება — ასეთი რეაქცია რომ არ გამოუწვევია? მაინც რომელ გამოკითხვაზეა საუბარი, „ლევადა-ცენტრმა“ რომ გასულ თვეს ჩაატარა?

დიახ! სწორედ მასზე. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგი ყველასთვის თავბრუდამხვევი გამოდგა: რუსეთის მოქალაქეთა 70% დადებითად მიიჩნევს სტალინის როლს ქვეყნის ცხოვრებაში, ხოლო 19% — უარყოფითად. სტალინის მოღვაწეობით აღტაცებულია გამოკითხულთა 51%, ანუ ყოველი მეორე.

ისე, როგორ უნდა ემართა რუსეთი ე.წ. დემოკრატებსა და ლიბერალებს, რომ სტალინის სახელი, მიუხედავად მასზე დასხმული ლაფისა და სიცრუისა — კვლავ ქცეულიყო წარმოუდგენლად პოპულარული?

ახსნა ამისა არც ისე იოლია. ზოგი რუსი პოლიტოლოგი და ექსპერტი თვლის, რომ სტალინის პოპულარობის ზრდაში თვით ხელისუფლებას შეაქვს წვლილი, ზოგიც მიიჩნევს, რომ სტალინის აღზევება პუტინის საწინააღმდეგოდ ხდება. ზოგი, საკუთარი დაკვირვებიდან გამომდინარე ფიქრობს, რომ ბელადის სახელის დადებითად ხსენება დაკავშირებულია ქვეყნის საშინაო და საგარეო გამოწვევებთან.

ასეთ დროს ხშირად გაისმის მოსაზრება — სტალინი რომ ყოფილიყო, ქვეყანაში წესრიგი იქნებოდა, ხოლო დასავლეთი ვერ გაუბედავდა რუსეთს იმას, რასაც დღეს უბედავს.

მიუხედავად იმისა, რომ პუტინის ხელისუფლება გაცილებით წარმატებულადართმევს თავს ქვეყნის წინაშე არსებულ უმძიმეს გამოწვევებს, ვიდრე წინამორბედი ხელისუფლებები, შედარება არ არის სტალინის მმართველობის პერიოდთან — ასე მიიჩნევენ ექსპერტები და მოჰყავთ „ჯალათი“ სტალინის ჟამს მოსახლეობის რაოდენობის რამდენიმე მილიონით ზრდის, ცხოვრების გაუმჯობესებელი ხარისხის და ხანგრძლივობის მაგალითები.

თანამედროვე რუსეთი რახანია ებრძვის გაუარესებულ დემოგრაფიას, თუმცა ოდნავი წარმატებით. ახალგაზრდების 40% ოცნებობს უცხოეთში საცხოვრებლად წასვლაზე, მაშინ, როდესაც „ტირანის“ დროს განათლების და სამედიცინო მომსახურების მიღება უფასო იყო, დღეს სახელმწიფოს ყველა სოციალური ვალდებულება შემცირებულია.

ექსპერტები იხსენებენ სტალინის პროექტს 4-საათიანი სამუშაო დღის დაწესების თაობაზე და ხუმრობით უმატებენ — ალბათ, იმიტომ, რომ ბევრი თავისუფალი დრო დარჩენოდა „ჯალათ“ სტალინს ხალხის საწამებლადო.

იხსენებენ იმასაც, თუ როგორ მცირდებოდა კვების პროდუქტებზე ფასები, ხოლო ხარისხი რაოდენ უმჯობესი იყო დღევანდელთან შედარებით.

სტალინის დროს 10 წლის განმავლობაში განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რამაც უზრუნველყო ჰიტლერზე გამარჯვება. ექსპერტებს მოჰყავთ ინტერნეტში გამოქვეყნებული 40000 საწარმოს ჩამონათვალი, რომლებმაც რახანია შეწყვიტეს არსებობა, თუმცა მოჰყავთ პუტინის დროს აშენებული ქარხნების ნუსხაც, რომელიც გაცილებით მოკლეა და ძირითადად შემოიფარგლება ნავთობ-ქიმიითა და მეტალურგიით.

სტალინის პირწავარდნილმა მტრებმაც კი ვერ დაასახელეს თუნდაც ერთი ოლიგარქი, რომელიც სახელმწიფო შეკვეთებზე გამილიონერდა; ანდა სტალინის ანგარიშები უცხოურ ბანკებში, ვილები უცხოეთში, ფუფუნების საგნები, ათასობით დოლარის ღირებულების საათები და ა.შ. ის, რაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ დარჩა, თვითღირებულებით ერთობ მოკრძალებულია.

ექსპერტები აცხადებენ, რომ სტალინმა შექმნა ზესახელმწიფო, რომელმაც დაამარცხა ფაშიზმი, პირველმა აითვისა კოსმოსი, ჩამოაყალიბა წარმატებული საგანმანათლებლო სისტემა.

სკეპტიკოსები აცხადებენ, ყოველივე ეს მოხდა დიდი მსხვერპლის ფასად. იხსენებენ რეპრესიებს და ა.შ.: „თანამედროვე გაგებაში სტალინის რეპრესიები არის ანტისაბჭოთა პროპაგანდის პროდუქტი. რეალურად ეს სულაც არ იყო ისე, როგორც გვიხატავენ ფილმებში, დოკუმენტურ გადაცემებში.

რეპრესიები ცარიელ ადგილას არ მომხდარა. ქვეყანა მესამე რეიხის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდა, რეპრესიები არც ისეთი მასშტაბური იყო. მტკიცება იმისა, რომ ქვეყნის ნახევარი ციხეში იჯდა, ხოლო ნახევარი ყარაულობდა — სიცრუეა, რის შესახებაც არაერთხელ ვთქვით დოკუმენტების მოშველიებით. რეპრესიები იყო და უდანაშაულო ადამიანებსაც შეეხო. ქვეყნის უმრავლესობამ ვერც იგრძნო რეპრესიები, ვინაიდან სხვა საქმეებით იყო დაკავებული“, — ასე წერს ინტერნეტში სერგეი მარჟეცკი.

ყურადსაღები იყო „RTR როსიას“ საკვირაო შემაჯამებელი გადაცემა, რომელსაც ცნობილი ჟურნალისტი დიმიტრი კისელიოვი უძღვება. მან ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა სტალინს და აღნიშნა, რომ ეპოქა, რომელშიც სტალინს მოუხდა მოღვაწეობა, აღსავსე იყო რეპრესიებით, სიმკაცრით, ომებით, სისხლიანი დაპირისპირებით. გაიხსენა ჩინეთის მაგალითიც — მაო ძედუნითა და კულტურული რევოლუციით.

ხაზგასმით ილაპარაკა მაოს მიერ გაკეთებულ საქმეებზეც და კულტურული რევოლუციის სისასტიკეზე. თქვა ისიც, რომ კულტურული რევოლუციის „სიკეთეების“ საკუთარ თავზე გამოცდილმა ქვეყნის ლიდერმა დენ სიაოპინმა, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ჯალათად გამოეცხადებინა მაო ძედუნი, სხვა გადაწყვეტილება მიიღო — შესატყვისი ქვეყნისთვის. **„მაო ძედუნი იყო ახალი ჩინეთის შემქმნელი. მან ბევრი რამ გააკეთა ჩინეთისთვის. გააკეთა ცუდიც, მაგრამ თუ შევადარებთ კარგს და ცუდს, ასეთ რეალობას მივიღებთ — კარგი 70%, ცუდი — 30%“,** — თქვა მან.

იმ დღიდან შეწყდა მაოს გინება. ის დიდი ისტორიის ნაწილი გახდა, რომელსაც პატივს სცემენ. პეკინის მთავარ მოედანზე ტიანანმენზე მაოს დიდი პორტრეტია, ისე, როგორც ფულის ერთეულ იუანზე. ასეთია ბრძენი ხალხის გადაწყვეტილება, რომლის გაზიარება რუსეთსაც არ აწყენდა.

კისელიოვმა, რომელმაც ჩინეთის მაგალითი მოიყვანა — განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ციფრებს — 70/30-ზე, იქვე სტალინზეც თქვა: მაო ძედუნის მაგალითზე თუ განვსჯით, სტალინთან შეფარდება ასეთი იქნება: 80 დადებითი, 20 უარყოფითი.



მოხდება იოსებ სტალინის რეაბილიტაცია? როგორც ჩანს, ამ კითხვას მალე გაეცემა პასუხი!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ტურისტული ვიზიტების რაოდენობა იზრდება

2019 წლის აპრილში საქართველოში 647,770 საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტი შედგა, ზრდა +4.6%. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 348,519 შეადგინა, რაც 14,018-ით მეტია 2018 წლის აპრილის მაჩვენებელზე (ზრდა +4.2%)

ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა.




პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების ზრდის კუთხით აპრილში გამოირჩეოდნენ:

ავსტრია +50.8%, იტალია +45.6%, ესპანეთი +43.8%, საფრანგეთი +43.7%, გერმანია +43.5%, ჩეხეთი +38.2%და სხვა. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან:უზბეკეთი +125.7%, ტაილანდი +97.5%,ყაზახეთი +89.1%, თურქმენეთი +52.1%, ჩინეთი +30.6%, არაბთა გაერთიანებული საემიროები +26.3% და სხვა.

2019 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით საქართველოში 2,265,318 საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტი განხორციელდა, ზრდა +2.9%. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 1,230,649 შეადგინა, რაც 56,608-ით მეტია 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (ზრდა +4.8%)

წინასწარი მონაცემებით 2019 წლის იანვარ-მარტში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 578 მილიონ დოლარს (ზრდა +5%), რაც 28 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

სკანდალი

# „ოქროებს“ მიღმა ოჯახური კლანია?!







**ახლახან სრულიად საქართველო ზეიმობდა თანამემამულე ძალოსანთა ტრიუმფს, რომლებმაც სწორუპოვარი ლაშა ტალახაძის თამადობით არნახული მონაგრით დაასრულეს ბათუმში გამართული ევროპის ჩემპიონატი.**

ოლიმპიური ქარტია და სპორტის დაუწერელი მორალური კოდექსი თვალსაჩინოდ ღაღადებს, რომ შტანგისტთა პატიოსანი ბრძოლის ბედი ფიცარნაგზე უნდა წყდებოდეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, რკინასთან დუელის გარდა, თურმე, „ჯვაროსნებს“ იმავე უკეთურობასთან უწევთ გამკლავება, რაც, უფრო ფართო მასშტაბით, ოღონდ სხვადასხვა ფორმით, ქვეყანაშია გამეფებული.

საუბარია ქალთა ეროვნული ნაკრების 17 წლის წევრ თათია ლორთქიფანიძეზე, რომელიც მისი მამის, ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველის, პარლამენტის ყოფილი დეპუტატისა და 8 შვილის მშობლის დიმიტრი ლორთქიფანიძის აზრით, პოლიტიკური რევანშისა და ყბადაღებული კოჰაბიტაციის მსხვერპლად მოგვევლინა.

ბუნებრივია, საკითხის პიკანტურობიდან გამომდინარე, სკანდალში გადაზრდილ ისტორიაზე საუბარს კარიერის დასაწყისშივე ფსიქოლოგიურად ტრავმირებული გოგონა ერიდება, ამიტომ ჭეშმარიტების გაცნობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ყოფილი წარმომადგენლისგან ვცადოთ, რომელმაც სათქმელზე ბოლოდროინდელ ინტერვიუებში პირუთვნელად ისაუბრა.

— „მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების დროს პარლამენტის სპორტის კომიტეტს „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის ერთ-ერთი სახე, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე თავკაცობდა, რომელიც დღეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ყოფილ პოლიტიკურ ოპონენტს სამაგიეროს შვილის ჩაგვრით უხდის.

უბედურება ის გახლავთ, რომ მან ახალი მმართველი ძალის პირობებშიც შეინარჩუნა გავლენები და უკვე ჩამოყალიბებული ოჯახური კლანის მეშვეობით აკონტროლებს ვითარებას ძალოსნობის ფედერაციაში.

დიახ, კლანის, თანაც ოჯახურის, რადგან მისი ქვისლი, პროფესიით სანტექნიკოსი (ხომ არ გაგახსენდათ განათლების ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ლომაია? — **რედ.**) თემურ ჯანჯღავა, რომელსაც სამწვრთნელო კურსებიც კი არ გაუვლია, ერთდროულად გახლავთ ქალთა ნაკრებისა და თბილისის ნაკრებების დამრიგებელი, აგრეთვე ახალგაზრდული გუნდის მესაჭის მთავარი ასისტენტი. არის თუ არა ეს სიცილიური მაფიის ანალოგი?

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ასეთ დილეტანტთან თათიას კონფლიქტი მოსვლოდა, ტრავმები მიეღო, „შატალოზე“ წასულიყო და თავის პირად მწვრთნელთან, ნამდვილ პროფესიონალ და კარგ ადამიან გელა მახარაშვილთან, ან უკიდურეს შემთხვევაში, თუნდაც, გიორგი ასანიძესთან ევარჯიშა.

მიუხედავად ყველაფრისა, თათია მაინც გაემგზავრა როგორც ასანიძის შეკრებაზე დუშეთში, ისე ჯანჯღავას „სბორზე“ რუსთავში, სადაც ფეხის სახსარი დაიზიანა (არსებობს ტატიშვილის კლინიკის შესაბამისი დასკვნა). აღარაფერს ვამბობ ისეთ „წვრილმანებზე“, როგორიცაა ქალთა ნაკრების შეკრების ხარჯის ორჯერ შემცირება, უვარგისი „ფასტფუდით“ კვება, სუპერმარკეტში ხილის საკუთარი ჯიბის ფულით დამატება და სხვა, მაგრამ საგანგებოდ უნდა შევჩერდე ისეთ უხამსობაზე, რომელიც შორსაა კაცობისგან!

ვგულისხმობ იმ სიტყვიერ შეურაცხყოფებს, როგორსაც ჯანჯღავა ქალიშვილ შეგირდს აყენებდა: „რა გჭირს, ფეხმძიმედ ხომ არ ხარო“, ან „საზარდულში კრემს წაგისვამო“. ეს ამაზრზენი ფაქტები თათიამ და გელა მახარაშვილმა წერილობით და ზეპირად არაერთგზის შეატყობინეს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ კახი კახიაშვილს, მისგან კი — მხოლოდ დუმილი.

სხვათა შორის, სწორედ ბატონი კახიაშვილის მოთხოვნით თბილისის მძლეოსნობის მანეჟში ვარჯიშის პერიოდში თათიამ საერთაშორისო დოპინგტესტი ჩააბარა, რომელმაც დაადასტურა, რომ იგი სუფთაა. თითქოს გვირაბის ბოლოში სინათლე გამოჩნდა, თანაც შეთანხმდნენ, რომ კონტინენტურ ფორუმზე ჩემი შვილი პირადი მწვრთნელის თანხლებით ჩავიდოდა, მაგრამ მაშინ, როცა ზღვისპირეთში გასამგზავრებელი მატარებლის ბილეთი ავიღეთ, შეთანხმება დაირღვა და მახარაშვილმა ფედერაციის ხელმძღვანელისგან „ესემეს“ შეტყობინება მიიღო: „გელა, მარტო ჩამოდი, თათიას გარეშე“. არადა, მანამდე სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე ჩემი თანდასწრებით დაუკავშირდა ფედერაციის უფროსობას ბათუმში და პირობა მიიღო, რომ თათიას არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა და ის საქართველოს ღირსებას დაიცავდა(!). მეტიც, ყოველი შემთხვევისთვის საქმის კურსში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვიც ჩავაყენეთ და მისგანაც მსგავსი პირობა მივიღეთ...

მოკლედ, სახეზეა კლასიკური ვენდეტა და, ქვეყნის პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვარაუდით, შესაძლო დისკრიმინაცია.

ჰო, მართლა — კიდევ ერთი დანაშაულის ნიშნის შემცველი ეპიზოდის შესახებ: თათიას წონაში მოასპარეზე მის ერთ-ერთ კონკურენტს, რომელიც ისრაელს წარმოადგენს, სწორედ აღნიშნული პირები ავარჯიშებენ. ვითომ უანგაროდ?

ისღა დამრჩენია, როგორც უფლებადამცველმა, რომელიც სხვის შვილებს ეხმარება, სამართლებრივი ბრძოლა ქვეყანაში დანერგილი კლანურ-მაფიოზური მმართველობის სისტემის წინააღმდეგ საკუთარი სისხლისა და ხორცის დასაცავადაც დავიწყო, მით უმეტეს, საამისო გამოცდილება უკვე მაქვს — მოგეხსენებათ, 2007 წელს ქალაქის საპატრულოს უფროსმა გეგეჭკორმა ჩემი 17 წლის ვაჟი მხოლოდ იმიტომ დააკავა, რომ 7 ნოემბრის აქციაში ვმონაწილეობდი და არასრულწლოვანი ბავშვი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით „კაპეზეში“ რეციდივისტებსა და ნარკომანებს მიუსვა გვერდით. კიდევ კარგი, სასამართლო პროცესი მოვიგე და თვით გეგეჭკორი დავადანაშაულე კანონის დარღვევაში...“

***საინტერესოა, როცა პოლიტიკოსის, უფლებადამცველისა და საჯარო მოხელის შვილების უფლებები ასე ფეხქვეშ ითელება, რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს რიგით მოქალაქეს, ვისაც ასეთი მფარველი არ ჰყავს?***

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# პრიზიც, ქულებიც



**კიდევ ერთი წარმატებით გაგვახარა ქართველმა დიდოსტატმა კონსტანტინე შანავამ, რომელმაც ცხრა შესაძლებლობიდან 7,5 ქულით ირანის მაზანდარანის პროვინციაში გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგო და მთავარი პრიზის მოპოვებასთან ერთად რეიტინგი 17 პუნქტით გაიმდიდრა.**

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა თანამემამულემ საწადელს მძლავრი ფინიშით მიაღწია — ზედიზედ სამი პარტია მოიგო და ერთი ქულით გაუსწრო უახლოეს მდევართა კვარტეტს არიან ჩოლამის, გაემ მაგჰამის (ორივე — ირანი), პაველ პანკრატოვისა (რუსეთი) და რობერტ კრეისლის (ავსტრია) შემადგენლობით.

რაც შეეხება დავით ლომსაძეს, 4,5 ქულით მან 24-ე ადგილი დაიკავა.

**კობა კობახიძე**

ევროპა ლიგა

# ინგლისის სახელით




**გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ წლეულს ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლები დიდი წარმატებით თამაშობენ პოპულარულ საკლუბო ევროტურნირებში — ნახევარფინალისტთა ზუსტად ნახევარი ნისლიანი ალბიონის გუნდია.**

მართალია, ჩემპიონთა ლიგის პირველმა რაუნდმა პრემიერლიგის ქომაგებს მხოლოდ იმედგაცრუება მოუტანა, მაგრამ, სამაგიეროდ, სავსებით რეალურია ვარიანტი, რომ ევროპა ლიგაზე ინგლისური ფინალი ვიხილოთ, კიდევ უფრო თუ დავკონკრეტდებით — ლონდონური დერბი, რომელიც ბაქოში გაიმართება.

მართლაც, საინტერესოა, ვისთვის იქცევა 9 მაისი გამარჯვების დღედ — საპასუხო ნახევარფინალური მატჩები ხომ სწორედ მაშინაა დანიშნული.

**„არსენალი“ — „ვალენსია“ 3:1,**

**„აინტრახტი“ — „ჩელსი“ 1:1.**

**ვიტალი ჯაფარიძე**



# წელს, ზუგდიდში 60 ვეტერანი და 300 დევნილი ოჯახი ახალ ბინას მიიღებს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ზუგდიდის მერობის კანდიდატი გიორგი შენგელია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძესთან ერთად, ინგირისა და კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ მოსახლეობას შეხვდა. მერობის კანდიდატი დევნილთა საჭიროებებს გაეცნო. ასევე, ის გეგმები და ინფრასტრუქტურული პროექტები წარუდგინა, რაც გიორგი შენგელიას მერად არჩევის შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

გიორგი შენგელია ასევე, ბარამიასა და ლაღიძის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილებს შეხვდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბარამიას ქუჩაზე 720 დევნილი ოჯახისთვის კორპუსების სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება. უახლოეს მომავალში კი დამატებით 240 ოჯახისთვის ბინის მშენებლობა დაიწყება.

ზუგდიდში, 2013 წლიდან დღემდე ბინა 900-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, პროგრამა „სოფლად სახლის“ ფარგლებში კი სახლი მიწის ნაკვეთით 459 დევნილ ოჯახს გადაეცა.

# ზუგდიდი რომ გალამაზდეს

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამას ახორციელებს.

პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია არაერთი ინფრასტრუქტურული ობიექტის განვითარება, რომელთა შორისაა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისა და ეკატერინე დადიანის სასახლის რეაბილიტაცია, ზუგდიდის ბიბლიოთეკისა და სპორტკომპლექსის მშენებლობა.

# 7-9 მაისს რიკოთის გვირაბში მოძრაობა დროებით შეიზღუდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში, გვირაბის სახანძრო-სავენტილაციო სისტემების შემოწმება-შესწავლის სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით, 2019 წლის 7 მაისიდან 9 მაისის ჩათვლით, დროის გარკვეულ პერიოდში იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. კერძოდ: 7 მაისს 22:00 სთ-დან 8 მაისის 08:00 სთ-მდე, 8 მაისს 22:00 სთ-დან 9 მაისის 08:00 სთ-მდე და 9 მაისს 14:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე. ხოლო დღის დანარჩენ პერიოდში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

საავტომობილო გვირაბის ჩაკეტვის პერიოდში სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე.

დანართი №1 (10 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2019 წლის „03 მაისის“
№ 01-01-3/157 ბრძანებით

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი რიყეთი (I- უბანი) | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 1 წელი | 24 988 $მ^3$ | 21 730 | 5 200 |
| 2 | ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი რიყეთი (II-უბანი) | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 1 წელი | 24 912 $მ^3$ | 21 663 | 5 200 |
| | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ" მე-16 მუხლის „თ" პუნქტის შესაბამისად მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში წარადგინოს ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი სქემატური ნახაზი და გზის საფარის მოწყობა განახორციელოს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად გზის ღერძიდან 30 მეტრის ფარგლებში<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები. | | | | |
| 3 | ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ყინჩაური (I უბანი) | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 1 წელი | 27 892 $მ^3$ | 24 254 | 5 200 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ყინჩაური (II უბანი) | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 1 წელი | 28 072 მ³ | 24 411 | 5 200 |
| | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.<br>**ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.**<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები. | | | | |
| 5 | ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ყინჩაური | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 1 წელი | 27 650 მ³ | 24 044 | 5 200 |
| | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.<br>**ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.**<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; | | | | |



# მასშტაბური პროექტები დიდ დიღომში

საბურთალოს რაიონში მასშტაბური პროექტების განხორციელება იწყება. დიდ დიღომში ჰაინრიხ კლაპროთის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც, 3 803 კვ.მ ფართობზე ასფალტის ორფენიანი საფარი დაიგება. უახლოეს მომავალში, სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე, კერძო დასახლებაში მდებარე სამი ქუჩის - ბარონ დე ბაის, ნიკო ბურისა და სტრაბონის ქუჩებზე დაიწყება. სტრაბონისა და ნიკო ბურის ქუჩებზე პირველ ეტაპზე სანიაღვრე ქსელი მოეწყობა, რის შემდეგაც ასფალტის საფარი დაიგება.

აღნიშნულ ქუჩებზე ასფალტის საფარი ამ დრომდე არ არსებობდა, რის გამოც, მოსახლეობისთვის გრუნტის გზაზე გადაადგილება არაკომფორტული იყო. პროექტის განხორციელების შემდეგ, ადგილობრივები კეთილმოწყობილი გზით ისარგებლებენ. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად გამგეობის ბიუჯეტიდან 2 990 158 ლარი დაიხარჯება. საგზაო სამუშაოებს კომპანია „იბერი“ განახორციელებს.

# მთაწმინდის პარკი ჩაის ფესტივალს უმასპინძლებს

5 მაისს, მთაწმინდის პარკი, ტრადიციულად, ჩაის ფესტივალს უმასპინძლებს. ფესტივალის ფარგლებში მოხდება როგორც ქართული, ისე სხვა ქვეყნების ჩაის გაცნობა. ამასთან, ნაჩვენები იქნება ჩაის მომზადების სხვადასხვა ტრადიცია და მოსულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაი დააგემოვნონ.

ფესტივალზე, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა უცხოელთა დიდი დაინტერესებით, წელს იუნუსემრეს ინსტიტუტიც მიიღებს მონაწილეობას და სტუმრებს თურქულ ჩაის გააცნობს, რომელსაც თურქულ კულტურაში გამორჩეული ადგილი უკავია.

მთაწმინდის პარკში ღონისძიება 10 საათზე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების გამოსვლით დაიწყება. ღონისძიებაზე ნაჩვენები იქნება ფოლკლორული ცეკვებიც.

# შეკეთდება 9 საბავშვო ბაღი

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო მიმდინარე წელს 9 საბავშვო ბაღის შენობების გამაგრება-რეკონსტრუქციას დაიწყებს. გამაგრებას ექვემდებარება №170, №200, №100, №126, №150, №144, №55, №2 და №4 ბაღების შენობები.

სააგენტოს ხელმძღვანელი კახაბერ გვანცელაძე №170 და №200 ბაღებში იმყოფებოდა. ორივე ბაღში სამუშაოები ზაფხულში დაიწყება. გამაგრებას ექვემდებარება შენობების კონკრეტული ფლიგელები, რის შემდეგაც ჩატარდება სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები. №200 ბაგა-ბაღში სამზარეულოს ბლოკი და საწყობებიც გარემონტდება.

კახაბერ გვანცელაძის თქმით, შენობების რეაბილიტაცია ექსპერტთა დასკვნებს ეყრდნობა.

ცხრა შენობის გამაგრების პროექტების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება 3 მილიონი ლარია.



# ...სწრაფი ჩარიცხვის აპარატებს დაერია

„ნიუპოსტის" ინფორმაციით, გუშინ ზუგდიდში 8 სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს. წინასწარი ინფორმაციით, რვავე აპარატი ერთმა და იმავე პირმა დააზიანა. მამაკაცი პოლიციამ ექსპერტიზაზე გადაიყვანა. ახლობლების თქმით, მამაკაცს ფსიქიკური პრობლემები აღენიშნება. ერთ-ერთი დაზარალებული ამბობს, რომ პერსონალურად მისი ზარალი 1500 ლარს აღწევს. მეწარმის თქმით, მისი აპარატი 2 კვირის წინაც დააზიანეს და მაშინ ზარალმა 3400 ლარი შეადგინა, იმ შემთხვევაში პროკურატურამ ერთი პირი დააკავა, რომელსაც პატიმრობასთან ერთად ზარალის სრულად ანაზღაურება დაავალა. რაც შეეხება გუშინ მომხდარს, დაზარალებულს უჭირს იმის თქმა როგორ მოხდება ანაზღაურება, რადგან პოლიციამ აღნიშნული დანაშაულისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დააკავა.

# დააჯარიმეს ტერიტორიული წყლების დაბინძურებისთვის

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

პანამის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ზღვა ნავთობის შემცველი წყლებით დააბინძურა. ფოთის საქალაქო სასამართლომ გემის კაპიტანს 65 000 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქცია დააკისრა. დაკისრებული საჯარიმო სანქციების გადახდის შემდეგ, გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

# დაკავებული არიან დოკუმენტების გამყალბებლები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება — გასაღების ხუთი ფაქტი გამოავლინეს, რაზეც დაკავებული იქნა 8 პირი.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, ქ. თბილისში, კახეთის, აჭარის და იმერეთის რეგიონებში, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათ მფლობელობაში არსებული კომპანიების სახელით დაამზადეს და გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები, რომლის თანახმად, თითქოსდა განახორციელეს ჯამში 450 000 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონლის მიწოდება. ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7-წლამდე ვადით.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები. | | | | |
| 6 | შუახევის მუნიციპალიტეტი დაბა შუახევი მდ. ჩირუხისწყალი | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | | P | 1 წელი | 6 970 მ³ | 6 061 | 2 200 |
| 7 | შუახევის მუნიციპალიტეტი დაბა შუახევი. მდ. ჩირუხისწყალი. | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | | P | 1 წელი | 3 610 მ³ | 3 140 | 2 200 |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | | | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ | | | | |
| | | | | ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,5 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ" აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის | | | | |
| | | | | გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შპს „სილქნეტი"-ს საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციის ახლოს სამუშაოების წარმოების დროს დაიცვას შემდეგი პირობები:<br>1) მკაცრად იქნას დაცული ხაზობრივი ნაგებობის ხელშეუხებლობა;<br>2) არ შეუქმნას სფრთხე არსებულ კომუნიკაციას და უზრუნველყოს კომუნიკაციის უსაფრთხოება:<br>3) შეუფერხებლად და შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოს შპს „სილქნეტი"-ს თანამშრომლის კომუნიკაციასთან მისვლა და სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება:<br>4) კომუნიკაციის დაცვის ზონაში სამუშაოების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა აცნობოს შპს „სილქნეტს" და სამუშაოები აწარმოოს თანხმობით.<br>5) ლიცენზიანტი ვალდებულია აცნობოს კომპანიას ყოველგვარი საფრთხის შესახებ რომელმაც შეიძლება შეუძლებელი გახადოს კაბელით სარგებლობა, მათ შორის სტიქიური უბედურების დროს 3 (სამი) დღს ვადაში;<br>6) ლიცენზიის მფლობელის საქმიანობიდან გამომდინარე კომუნიკაციის გადატანის საჭიროების შემთხვევაში აღნისნული სამუშაოები განხორცელდეს ლიცენზიანტის ხარჯებით. | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები. | | | | |
| 8 | ქედის მუნიციპალიტეტი დაბა ქედა. მდ. აკავრეთა | ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 1 წელი | 103 024 მ³ | 89 586 | 20 200 |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | | | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები,<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შპს „დელტა კომმი"-ს საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციის ახლოს სამუშაოების წარმოების დროს დაიცვას შემდეგი პირობები:<br>1) მკაცრად იქნას დაცული ხაზობრივი ნაგებობის ხელშეუხებლობა;<br>2) არ შეუქმნას სფრთხე არსებულ კომუნიკაციას და უზრუნველყოს კომუნიკაციის უსაფრთხოება:<br>3) შეუფერხებლად და შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოს შპს „დელტა კომმი"-ს თანამშრომლის კომუნიკაციასთან მისვლა და სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება:<br>4) კომუნიკაციის დაცვის ზონაში სამუშაოების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა აცნობოს შპს „დელტა კომმს" და დამუშაოები აწარმოოს წერილობითი თანხმობის შემდგომ.<br>5) ლიცენზიანტი ვალდებულია აცნობოს კომპანიას ყოველგვარი საფრთხის შესახებ რომელმაც შეიძლება შეუძლებლი გახადოს კაბელით სარგებლობა, მათ შორის სტიქიური უბედურების დროს 3 (სამი) დღს ვადაში;<br>6) ლიცენზიის მფლობელის საქმიანობიდან გამომდინარე კომუნიკაციის გადატანის საჭიროების შემთხვევაში აღნისნული სამუშაოები განხორცელდეს ლიცენზიანტის ხარჯებით.<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები. | | | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | | | | |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | | | 245429200 | | | | |
| მისამართი/ტელეფონი | | | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 | | | | |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | | | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია | | | | |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | | | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 7 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 10 ივნისს დღის 18.00 საათზე | | | | |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | | | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 10 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 10 ივნისს დღის 18.00 საათზე | | | | |
| სხვა მონაცემები | | | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში | | | | |

# დაიღუპა ინტოქსიკაციით

ბათუმში 23-ე საჯარო სკოლასთან მდებარე სკვერში 50 წლამდე მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

გარდაცვლილთან ერთად კიდევ ერთი მამაკაცი იმყოფებოდა, რომელსაც ბათუმის სასწრაფო-სამედიცინო სამსახურის ინფორმაციით, ალკოჰოლური ინტოქსიკაცია აღენიშნებოდა. ის ბათუმის „მედცენტრში“ გადაიყვანეს. გარდაცვლილი პროზექტურაშია გადასვენებული.

# ტრაგედია მეტროში

მეტროსადგურ „სარაჯიშვილზე“ ლიანდაგზე ჩავარდნილი 15 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, ლიანგადზე მაშინ ჩავარდა, როცა მატარებელი სადგურში შემოდიოდა, რის გამოც მემანქანემ დამუხრუჭება ვერ შეძლო.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. ერთ-ერთ ვერსიად თვითმკვლელობა განიხილება.

# მოხუცმა 4 ადამიანი მოკლა

მკვლელობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურაში მოხდა — 85 წლის მამაკაცმა შვილი, რძალი და ორი მეზობელი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. დაჭრილია ცოლიც, რომელსაც სამედიცინო დახმარება უტარდება.

შემთხვევა სოფელში გუშინ დილით მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მკვლელობა ოჯახურ კონფლიქტს უკავშირდება. რა გახდა მკვლელობის ზუსტი მიზეზი, გამოძიება დაადგენს. მამაკაცი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

# „ქურდული სამყაროს“ მოტრფიალენი

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ქურდული სამყაროს წევრობისთვის ბრალდებულები — ხ.ს., მ.ბ. და თ.კ. დამნაშავედ ცნო. ამავე განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებული ა.ბ.

ხ.ს., მ.ბ. და თ.კ. აღიარებენ რა „ქურდულ სამყაროს“, აქტიურად მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში და თავისი ქმედებებით „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში მონაწილეობისთვის მზადყოფნას გამოხატავდნენ. 2018 წლის მაისში აღნიშნული პირები, მათი კრიმინალური გავლენის და „კანონიერი ქურდის“ სახელის გამოყენებით, ქ.ზესტაფონში ერთ-ერთ მეწარმეს აიძულებდნენ მიეღო „კანონიერი ქურდის“ მფარველობა სამეწარმეო საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელებისთვის, რის სანაცვლოდაც მოგებიდან 30%-იანი წილი „კანონიერი ქურდის“ ოჯახისა და ახლობლებისთვის უნდა დაეთმო, ან მათთვის სისტემატურად გარკვეული თანხა გადაეხადა. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულის შესახებ იცოდა ა.ბ.-მ, თუმცა ამის შესახებ სამართალდამცველებს არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა მ.ბ., თ.კ. და ა.ბ. 2018 წლის 7 ივნისს, ხოლო ხ.ს. 2018 წლის 12 დეკემბერს დააკავეს. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ოთხივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო და ხ.ს.-ს, მ.ბ.-ს და თ.კ.-ს სასჯელის სახედ და ზომად, თითოეულს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლება აღუკვეთა, ხოლო ა.ბ.-ს ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით განუსაზღვრა.

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:<br><br>ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;<br><br>ბ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;<br><br>გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი 2019 წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის პირველი დეკემბერი. ლიცენზიის შესწავლის პერიოდში ყოველწლიურად, არაუგვიანეს პირველი აპრილისა წარადგინოს წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდიკის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიურ აგეგმვით სამუშაოებს (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებს, სამთო გამონამუშევრების გაყვანას, ქანების ნივთიერ და მინერალოგიურ შესწავლასა და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას; გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის;<br><br>დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ, ლიცენზიის მოქმედების მთელ პერიოდში მუდმივად უზრუნველყოს საქართველოს არანაკლებ 15 (თხუთმეტი) მოქალაქის დასაქმება;<br><br>ე) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი (2) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორული კომპანიის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის (100 000 (ასი ათასი) ლარი) განხორციელებას;<br><br>ვ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;<br><br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული პირობის უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია 5 000 (ხუთი ათასი) ლარზე, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა” ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;<br><br>თ) „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა შესაძლებელია განხილულ იქნას ლიცენზიის გაუქმების საფუძვლად;<br><br>ი) ლიცენზიის მფლობელმა ობიექტის შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;<br><br>კ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნილი სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;<br><br>ლ) მარგების დამტკიცების შემდეგ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს ამავე კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.<br><br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br><br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br><br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br><br>პ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br><br>ჟ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br><br>რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 12 ნოემბრის N01-1264 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები.<br><br>ს) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br><br>ტ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;<br><br>უ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.<br><br>ფ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.<br><br>ქ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, |

| | | |
|---|---|---|
| | | „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br><br>ღ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.<br><br>ყ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანაგის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყალზე ქვიშრობული ოქროს შესწავლა-მოპოვება |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანაგის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 6 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 4 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 4 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 4 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# მოძრაობა სიცოცხლეა!

**ცხოვრების მჯდომარე ნირი თავის ტვინს აზიანებს — ესაა ამერიკელ ფიზიოლოგთა ვარაუდი.**



ფიზიკური აქტივობის დეფიციტი თავის ტვინის არეში ცვლილებებს უკავშირდება, რომლებიც მეხსიერებისა და სწავლების ჩამოყალიბებაში საკვანძო როლს ასრულებენ.

მკვლევარებმა 45-75 წლის ასაკის მოხალისეთა ფიზიკური აქტივობის დონე შეამოწმეს. გარდა ამისა, მათ მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიაც ჩაუტარეს. დადგინდა, რომ იმათ, ვინც მთელი დღის მანძილზე უფრო მეტხანს ზის, საფეთქლის მედიალური ნაწილი უფრო თხელი აქვს. შემდგომი ფიზიკური აქტივობა კი ამ უარყოფითი შედეგის კომპენსირებას ველარ ახდენს.

# ჟამი დასვენებისა და ჟამი მკურნალობისა



**წლის მანძილზე ყოველ ადამიანს ენერგეტიკული მოზღვავების გარკვეული პერიოდები აქვს. ამ დროს იგი თავს უკეთ გრძნობს, გაცილებით თავდაჯერებულია, კარგადაც გამოიყურება, ძალთა მოზღვავებას განიცდის და სნეულებებსაც უკეთ ერევა.**

ენერგეტიკულ ძალთა დაქვეითების დროს კი კაცს თითქოს ძალა ეცლება, ყველაფრისადმი აპათიური ხდება. ამ დროს უმჯობესია აქტიური მოღვაწეობის დროებით შეწყვეტა და ჯანმრთელობისთვის მეტი ყურადღების მიქცევა.

დაიმახსოვრეთ: **ენერგეტიკულ ძალთა მოზღვავების პერიოდი დაბადებიდან სამი თვე გრძელდება, მომდევნო სამი თვე კი ენერგეტიკულ ძალთა დაქვეითების დროა, რომელსაც კვლავ სამთვიანი აღმავლობა მოჰყვება და ასეთი მონაცვლეობა წლის ბოლომდე გრძელდება.**

გარდა ამისა, კონკრეტული პირისთვის დასასვენებლად საუკეთესო დროა დაბადების დღიდან მეხუთე თვე; სამედიცინო გამოკვლევებისთვის — მეექვსე თვე; სამკურნალო პროცედურისთვის კი — მეთერთმეტე თვე.

დღესასწაული

# კვირაცხოვლობა




**5 მაისს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირაცხოვლობას, რომელსაც უწოდებენ ახალ კვირას, თომას კვირას.**

ცნობილია, რომ ამ დღეს მოიხსენიება თომა მოციქულის მიერ უფლის გვერდის ხილვა და ლიტურგიაზე იკითხება სახარების სათანადო მონაკვეთი.

ისიც საგულისხმოა, რომ აღდგომის ღამეს თომას გარდა ყველა მოციქულმა ნახა იესო ქრისტე. თომა გვიან მოვიდა და არ დაიჯერა, რომ მათ იხილეს უფალი. ერთი კვირის შემდეგ მოწაფეები ისევ შეიკრიბნენ, თომაც მათთან ერთად იყო.

იესო ქრისტემ უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენ“, მერე კი თომას მიმართა: „მომეცი, აქ შენი თითი და გასინჯე ხელები ჩემი, მომეცი ხელი და შეახე ჭრილობას ჩემი გვერდისას და ნუ იქნები ურწმუნო“...

...თომამ შეჰღაღადა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, კანკელის წინ, ყველა ტაძარში დგას პატარა მაგიდა, საგანგებოდ გამომცხვარი პურით, რომელსაც არტოსი ეწოდება.

ამ დღეებში ეს პური განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდ სიწმინდეს წარმოადგენს.

შეგეწიოთ კვირაცხოვლობის მადლი!

**გიული ლიპარტია**

მედიცინის სტატისტიკა

# რა კლავს ხალხს?

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (მჯო) მონაცემებით, დედამიწაზე სიკვდილიანობის ნახევარზე მეტი (54 პროცენტი) ათი ძირითადი მიზეზითაა გამოწვეული. შესაბამის ნუსხაში ისინი კლებისდა მიხედვითაა ჩამოთვლილი.**

**პირველ** ადგილზე დიდი უპირატესობით გულის დაავადებებია, **მეორეზე** — ინსულტები. მათ ერთობლივ წილად სიკვდილიანობის 25 პროცენტამდეა და ბოლო 15 წლის მანძილზე ეს სნეულებები ამ საშინელი სიის ლიდერები არიან. **მესამე-მეოთხე** და **მეხუთე** ადგილებზეა **სასუნთქი გზების დაავადებები** (ფილტვების ობსტრუქციული ქრონიკული ავადმყოფობა, ასევე ფილტვების, ტრაქეისა და ბრონქების კიბო). **მეექვსე** ადგილზე — **დიაბეტი**, თანაც ამ სნეულებით გარდაცვლილთა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. **მეშვიდე** ადგილზე ჯერჯერობით **დემენციაა** (ხანდაზმულობის გონებასისუსტე), მაგრამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მათი რიცხოვნობა ორჯერ გაიზარდა! ეს კი, მედიკოსთა განცხადებით, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის შედეგია. ამ ავადმყოფობებს შემდეგ მოჰყვებიან **ქვემო სასუნთქი გზების ინფექციები** (პნევმონია და სხვა), **მეცხრე** ადგილზეა **დიარეული** ავადმყოფობები, თუმცა კი ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ორჯერ შემცირდა და ბოლო — **მე-10 ადგილზეა ტუბერკულოზი,** თუმცა მისი მიზეზით გარდაცვლილთა ოდენობა ბოლო ხანებში ასევე შემცირდა.

მთლიანად კი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ვრცელ ნუსხაში სიკვდილიანობის ყველაზე გავრცელებულ მიზეზთა შორის 44 პოზიციაა ჩამოთვლილი: **1. გულის დაავადებები** (მათ შორის, მიოკარდის ინფარქტი); **2. ახალწარმონაქმნები** (მათ შორის კიბო); 3. **ცერებროვასკულარული დაავადებები** (რომლებიც თავის ტვინის მუშაობის აშლილობებს, მათ შორის ტვინის ინფარქტს უკავშირდება); **4. გარეშე ფაქტორები; 5. ნერვული სისტემის დაავადებები; 6. სიბერე; 7. საჭმლის მონელების სისტემის ორგანოთა დაავადებები** (მათ შორის ღვიძლის სნეულებები, წყლული); **8. სუნთქვის ორგანოთა დაავადებები** (მათ შორის პნევმონია, მწვავე ბრონქიტი, გრიპი)**; 9. ალკოჰოლით გამოწვეული დაავადებები** (მათ შორის მოწამვლები); **10. მკვლელობები; 11. შაქრიანი დიაბეტი; 12. სიკვდილი დაუდგენელი მიზეზით; 13. თავის ტრავმები; 14. თვითმკვლელობები; 15. უბედური შემთხვევები ტრანსპორტზე; 16. იმუნოდეფიციტი; 17 საშარდე გზების დაავადებები; 18. ფსიქიკური აშლილობები; 19. ჰიპერტონია; 20. საკვებით მოწამვლა; 21. ტუბერკულოზი; 22. სიცივე; 23. დაცემა (მათ შორის, სწორ ადგილას); 24. შემთხვევით გაგუდვა; 25. ბუნებრივ ხვრელებში უცხო სხეულების მოხვედრა; 26. ნებისმიერი სხვა უბედური შემთხვევა; 27. შემთხვევით დახრჩობა; 28. ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობა; 29. ხანძარი; 30. ნარკოტიკებით მოწამვლა; 31. თერმული და ქიმიური დამწვრობები; 32. ჰეპატიტი; 33. მოულოდნელი სიკვდილი; 34. მატარებელში მოყოლა; 35. სეფსისი; 36. მკურნალობისა და ოპერაციის შემდგომი გართულებები; 36. ოპერაციის დროს და შემდგომი მკურნალობისას გართულებები; 37. ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომი; 38. ნაწლავური ინფექციები; 39. დაუნის სინდრომი** (და სხვა ქრომოსომური ანომალიები); **40. ვირუსული ენცეფალიტი; 41. ავია — ან კოსმოსური კატასტროფა; 42. ტერაქტი; 43. სამხედრო მოქმედებები; 44. სიფილისი.**



**მოამზადა**
**დალი ხუნდაძე**

# თბილისის წიგნის ფესტივალი და ფინური ლიტერატურა




**2019 წლის თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანა ფინეთი იქნება. ფოკუს ქვეყნის პროგრამა განხორციელდება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ლიტერატურული ორგანიზაციის, ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდ „ფილის" (FILI-Finnish Literature Exchange) ორგანიზებით.**

2014 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის პროექტი – „Finnland. Cool." – სწორედ „ფილის" ხელმძღვანელობით განხორციელდა და ფინეთი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ისტორიაში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საპატიო სტუმარ ქვეყნად ითვლება. 2019 წელს, აღნიშნული პროექტის 5 წლისთავზე ფინური ლიტერატურის განვითარების ფონდს დაგეგმილი აქვს ღონისძიებების სერია სლოგანით - „ჩაუყარე საძირკველი მომავალს". სწორედ ამ ღონისძიებების სერიის ფარგლებში განხორციელდება თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყნის პროექტიც.

30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის სპეციალური სტუმრები იქნებიან ფინელი მწერლები: ჰენრიკ მეინანდერი, როზა ლიქსომი, ლინდა ბუნდესტამი.

ფესტივალის ფარგლებში ფინელი ავტორები გამართავენ შეხვედრებსა და პანელ დისკუსიებს ქართველ მწერლებთან ერთად.

ფინეთის, როგორც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყნის პროექტის ფარგლებში თბილისს ასევე ეწვევა ერთი-ერთი ყველაზე ცნობილი ფინურ-შვედური გამომცემლობის Forlaget ხელმძღვანელი ფრედრიკ რაჰკა, რომელიც გახლავთ საქართველოში კარგად ცნობილი საბავშვო მწერლის ტუვე იანსონის გამომცემელი და „მუმინ ჩერიქთერზის" (Moomin Characters) საგამომცემლო დირექტორი. ფესტივალის ფარგლებში ფრედრიკ რაჰკა გამართავს შეხვედრას, სადაც ისაუბრებს ტუვე იანსონისა და „მუმინების" თავგადასავლისა და წარმატების შესახებ.

აქვე, გაცნობებთ, რომ უკვე ცნობილია 2020 წლის, თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალის ფოკუს ქვეყანაც - ამ სტატუსს თურქეთი 2 ივნისს, წლევანდელი ფესტივალის დასკვნით დღეს, ფინეთისგან საზეიმოდ ჩაიბარებს.





## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე" – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).**


# საქართველოს ფოსტის შეძენა „საქართველოს ბანკსა" და „თიბისი ბანკს" სურთ

**საქართველოს ფოსტის შეძენა „თიბისი ბანკსა" და „საქართველოს ბანკს" სურთ. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას 1tv საქართველოს ფოსტის გენერალურ დირექტორზე ლევან ჩიკვაიძეზე დაყრდნობით ავრცელებს.**

**„ყიდვით დაინტერესებული კომპანიები არიან ადგილობრივი საბანკო სექტორის წარმომადგენლები. მათთან სტრატეგიულ პარტნიორობაზეც ვმუშაობთ პირველ ეტაპზე, რომელმაც შესაძლოა, დაასწროს პრივატიზების პროცესს. ეს გახლავთ: რამდენიმე უცხოური, ელექტრონული კომერციით დაკავებული კომპანია, ასევე ორი დიდი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ჯგუფურად განიხილავს რამდენიმე ეროვნული ოპერატორის პრივატიზებას. „საქართველოს ბანკიც" დაინტერესებულია, „თიბისი ბანკიც" დაინტერესებულია. „თიბისი ბანკთან" ვმუშაობთ სტრატეგიულ თანამშრომლობაზე და ვეცდებით, რომ დავაინტერესოთ საბოლოო პრივატიზებითაც",** – აღნიშნა ჩიკვაიძემ.




რაც შეეხება სახელმწიფო კომპანიის გასხვისების ვადას, ჩიკვაიძის თქმით, ეს აუდიტზეა დამოკიდებული, რომელიც აქტივის საბაზრო ღირებულებას დაადგენს.

# ქართული საფოსტო მარკა 100 წლისაა

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პირველი ქართული ეროვნული საფოსტო მარკის გამოშვების 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა.**




1919 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების პირველი წლისთავის აღსანიშნავად, მიმოქცევაში გამოვიდა პირველი ქართული ეროვნული საფოსტო მარკა 10 კაპეიკის ნომინალით.

მონეტა პოლონეთის ზარაფხანაში მოიჭრა, მისი სარეალიზაციო ფასი 90 ლარია და გაყიდვა 2019 წლის 6 მაისიდან დაიწყება.

# დრონი ჯანმრთელობის სამსახურში

**აშშ-ში უპილოტო საფრენ აპარატს ენდნენ და ტრანსპლანტაციისთვის საჭირო ადამიანის ორგანოები გადაიტანეს. დრონმა თირკმელის ტრანსპორტირება წარმატებით განახორციელა. ექსპერტების შეფასებით, ადამიანის ორგანოების დრონით გადატანა ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზაა მათთვის, ვისაც ეს ორგანოები ესაჭიროება.**

პაციენტი 44 წლის ქალი იყო, ქალაქ ბალტიმორიდან, რომელიც თირკმელს 8 წელი ელოდა. UNOS-ში, რომელიც ადამიანის ორგანოების გადანერგვას არეგულირებს, განმარტავენ, რომ უპილოტო საფრენი საშუალებებით ორგანოების ტრანსპორტირება მალე დარეგულირდება, რადგანაც ამის საჭიროება არსებობს. 2018 წლის მონაცემებით, ორგანოთა გადანერგვის სიაში 114 ათასი ადამიანი იყო, საიდანაც 1,5% დონორების გარეშე დარჩა ლოჯისტიკასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ხოლო 4%-ის შემთხვევაში ტრანსპლანტაციისათვის საჭირო ორგანოების მიწოდებამ 2 და მეტი საათით დააგვიანა.

ადამიანის ორგანოების ტრანსპორტირებისთვის სპეციალური დრონები იქნება გამოყენებული, რომელსაც მეტი ტვირთით უფრო მეტი მანძილის დაფარვა შეიძლება. დრონი აღჭურვილი იქნება კამერებით და უახლესი GPS-ს სისტემებით.



მეტი უსაფრთხოებისთვის, დრონს ტვირთთან ერთად უმაგრებენ პარაშუტსაც, თუ კი ტვირთი დრონს მოწყდება, მაშინ მის უსაფრთხო დაშვებას პარაშუტი უზრუნველყოფს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7051; ევრო - 3.0292;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5293;
100 რუბლი - 4.1443; თურქული ლირა - 0.4533;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5959;
1000 სომხური დრამი - 5.6368.

**ამინდი 4 მაისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +16 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +8 | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +16 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე | +19 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge